საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 28 დეკემბერი. 2017 წ. №262 (8399), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



საქართველო – ტერორიზმის უშუალო სამიზნე

3

მტკნარი სიცრუეა, თითქოს საქართველოში კვალიფიციური ასალგაზრდისთვის სამუშაო ადგილი არ არის!

4

რაისა ქარაია: როცა შენიანი ძირს გითხრის!

...ან კი ვინ გაგვიზომა აფხაზეთიდან გამოყოლილი დარდი და გულისტკივილი?

5

ევროპაში ყველაზე ხანდაზმული წყვილი ქედაში ცხოვრობს!

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე მეუღლესთან სოფიო ბაკურიძესთან ერთად ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გარეტყეში მცხოვრებ თურმანიძეების ოჯახს ესტუმრა, ხასან და ზექიე თურმანიძეების უხუცეს წყვილს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და საახალწლო ნობათი გადასცა.

95 წლის ხასან და 94 წლის ზექიე თურმანიძეების ოჯახს უნიკალურობას მათი 77-წლიანი თანაცხოვრება სძენს. წყვილმა 1941 წლის 20 მაისს იქორწინა და ქვეყანას 162 შთამომავალი გაუზარდა: 8 შვილი, 37 შვილიშვილი, 86 შვილთაშვილი და 31 შვილთაშვილის შვილი. ისინი ქორწინებაში მყოფი ყველაზე ხანდაზმული წყვილია არამარტო საქართველოში, არამედ დასავლეთ ევროპაში. მიმდინარე წლის მაისის თვეში გინესის რეკორდის საქართველოს ოფისის წარმომადგენლებმა ისინი სპეციალური სიგელებით დააჯილდოვეს. თურმანიძეების ოჯახის შთამომავლობა ძირითადად ხელოვნების მიმდევრები არიან. განსაკუთრებით, სასიმღერო ტრადიციის. ოჯახმა შემოინახა მერისის ხეობისთვის დამახასიათებელი არაერთი ფოლკლორული სიმღერა.



ცნობილი ჟურნალისტი იხსენებს

ნინო გეგეჭკორი: ჩემი ქმარი ლავრენტი ბერია

6

◎ რატომაც არა, თუ გასდის!..

ლურჯი სუფრა „რუსთავი-2“-ის ეკრანზე,

ზოგი მთელი ცხოვრება იმუქრება, მაგრამ ფეხებს ვერავის ვერ სჭამს. არადა, თუ იმუქრები, შე წინამასწარა ადამიანო, ცოტა მაინც შეასრულე იმ მუქარიდან!..

აი, შენ წრიპა უძახე, არამზადა და ნაძირალა უძახე გაბოგდანხმელნიცკებული საანკანთ ბიჭის მიერ საქართველოში გადმოსხმული „დესანტის“ ატამანს, ყველაფერ და ყველანაირ ცხრაზე გადამხტარ „რუსთავი-2“-ის, ანუ თვითმარქვია „მთავარი არხის“ თვითმარქვიავე გენერალურ დირექტორს, მოდურად წვერ-ულვაშსიფათდამშვენებულ გვარამიას, ნიკანორ მელიასი არ იყოს, ანზორიჩს, ვერ ასრულებს თავის მუქარას?! ასრულებს და თანაც რა ხარისხით და რა დონეზე?!

გახსოვთ, არა? ჯოჯოხეთად გიქცევთ ცხოვრებასო, ჯერ კიდევ როდის დაემუქრა „ოცნებას“... დაემუქრა და ერთი დღეც არ გამოუტოვებია ამ მუქარის საახალწლო ნაძვის ხესავით მოსართავ-მოსაკაზმავად!..

მართალია, ცხოვრების სამოთხედ ქცევაა ძნელი და ურთულესი, თორემ ცხოვრების გაჯოჯოხეთებას რა უნდა, მით უმეტეს, თუ შენც, ხელისუფლებაც, ხელს უწყობ შენი ვითომ ევროპის განსაცვიფრებელი დემოკრატიის შექმნით!

კი, ბატონო, ასეთი დემოკრატია ნამდვილად შექმნილია დღეს ამ ჩვენს ბეჩავ საქართველოში, სადაც, ხელისუფლებაში არყოფნის მიუხედავად, ფაქტობრივად, ისევ სასჯელმოუხდელი ნაციონალები სხედან სუფრის სათავეში... სუფრა კი იმიტომ ვახსენე, რომ „მთავარი არხის“ ერთგულმა თუ არაერთგულმა მაყურებელმა უთუოდ იცის, რომ გვარამიას ნაჯოჯოხეთარ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. ამ ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად მოვიშველიებ აბრევიატურა „ჩსწ“-ს, რაც „ჩემი სამზარეულოს წესებად“ იშიფრება.

არსენა ოძელაშვილი ნამდვილად მოგონილია „არსენა“ გვარამიასთან, ოძელაშვილისგან განსხვავებით, ვისაც გზებზე უყვარდა ლურჯი სუფრის

ანუ წრიპა გვარამიას ვაშხამი

გაშლა, ამ წრიპა გენერალურმა დირექტორმა უკვე სააკაშვილენკოსგან ნაჩუქარი ტელევიზიის ეკრანზე დაიწყო ნადიმების მოწყობა, თანაც მსოფლიოში პირველი გურმანის სახელი გაიგდო. უნდა ნახოთ, თავისი კუკნა ტუჩ-კბილით რა ოსტატურად აგემოვნებს სხვათა და სხვათა მზარეულთაგან დამზადებულ კერძებს... ზოგისთვის ეს ხელისუფლებაზე „მთავარი არხის“ გამარჯვების აღსანიშნავი ნადიმია, ზოგისთვის კი როგორც „მთავარი არხის“, ისე მოძალადე ნაციონალების მომავალი პოლიტიკური დასამარების აღსანიშნავი აღაპი (ქელეხი ბევრად მძიმე სიტყვაა!).

რახან მსოფლიოში „მთავარი გურმანის“ ჭამა-სმაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ბარემ აქვე უნდა ითქვას, სხვა ბევრ რამესთან ერთად, „მთავარმა გურმანმა“ ისიც „ჭამა“, რომ თუ დღე-ღამის 24 საათიდან თითქმის ნახევარზე მეტი დრო მშიერ ხალხზე ლაყბობას უნდება... უცებ თვითონ აყვავებულ სუფრას უზის სათავეში და ნიშნისმოგებით „გადმოსცქერის ქვეყანას“: ხო გაშიმშილებთ ეგ თქვენი „ოცნება“, კიდევ კარგა ხანს იქნებით მაგ დღეში, მე კი, ამ ჩემს სამფლობელოში, რომელსაც ყველა ჩვენი მოწინააღმდეგის ჯიბრზე, მთავარი არხი ჰქვია, სულ ქეიფი და ლხინი მაქვს გაჩაღებული, თუ შემოგვიერთდებით, ძალიან კარგს იზამთო...

მართალია, მაყურებლის მოსყიდვას „მთავარი არხი“ სხვა გზებითაც ახერხებს, აი, თუნდაც „გააცინე და მოიგე“ სწორედ ამ მიზანზე გათვლილია, ახლა „მსოფლიოს მთავარმა გურმანმა“ სამზარეულოც ჩართო საქმეში... ერთი სიტყვით, ეს წრიპა და ეშმაკის ნაშიერი გვარამია პწკეპნა-პწკეპნით აორსულებს დედოფალს, რომელმაც ერთ არამშვენიერ დღეს ახალი მიშიკოები უნდა შვას.

ისე, რაც შეეხება „მთავარი გურმანის“ ღამის სუფრებს, მაინცდამაინც ნუ ენდობით. თვითონ კი **ვახშამს** ეძახის მაგრამ ბევრი უკვე მიხვდა, რაც ხდება, და ამ გვარამიასეულ ღამის სუფრას გვარამიას ვა**შხამი** უწოდა.

„ოცნება“ კი ჯიუტად ისევ დემოკრატიის შენებას განაგრძობს...

გურამ წიკლაური

„საგზაო რუკა ევროკავშირისკენ“...

პრემიერმა **კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, 2017 წელი შეაჯამა და აღნიშნა, რომ წელს მთავარი მიღწევა ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა იყო.** პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს ამ მხრივ შორს მიმავალი მიზნები აქვს.

„ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ჩვენი გუნდის ცენტრალური და მთავარი პრიორიტეტი არის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ვექტორიდან გამომდინარეობს იმ რეფორმების მთავარი ხაზი, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს ვექტორი განსაზღვრავს ჩვენი შიდა რეფორმების უდიდეს ნაწილს. 2017 წელს მთავარი მიღწევა ამ მიმართულებით იყო უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებთან, რაც მთელი გუნდის ძალიან დიდი წარმატებაა. ეს არ იყო, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავისუფალი მიმოსვლა, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ჟესტი ევროკავშირის მხრიდან, ეს იყო ნდობის გამოხატვა საქართველოს მიმართ. ჩვენ გვაქვს შორს მიმავალი მიზნები. საქართველოს საბოლოო მიზანი არის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა და სწორედ ამიტომ ჩვენ ვიწყებთ ახალი დღის წერიგით მოქმედებას, რომელიც არის „საგზაო რუკა ევროკავშირისკენ“ და ის გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ასოცირების ხელშეკრულება. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ წარმატებით განვახორციელებთ ჩვენს პროგრამას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ამავე დროს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად რჩება ნატოში ინტეგრაცია და აშშ-სთან თანამშრომლობაც.

მთავარია ხალხთან დიალოგი

პრემიერი **მინისტრებს ხალხთან დიალოგისკენ მოუწოდებს** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„2018 წელი გამოვაცხადე, როგორც დიალოგის წელი და მინდა ყველა მინისტრს მოვუწოდო, მათი დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტი იყოს დიალოგი ხალხთან, განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს ჩვენი რეგიონები. მე პირადად ვაპირებ, რომ ძალიან ინტენსიურად ვიმოგზაურო მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს არ იქნება დაგეგმილი შეხვედრები, ეს იქნება სპონტანური, ჩვეულებრივი დიალოგი ადამიანებთან, რომლებიც არ იქნებიან ორგანიზებულად მოყვანილი ამისთვის, არამედ ის იქნება ღია, ძალიან გულრწფელი საუბარი პრობლემებზე, მოგვარების გზებზე, მათი წინადადებების მოსმენა, მათი პრობლემების მოსმენა და დარწმუნებული ვარ, რომ ამას ჩვენი ხალხი ძალიან მალე იგრძნობს და დაინახავს“...

4-პუნქტიანი გეგმით განვითარების ახალ ეტაპზე გადავალთ

ოთხპუნქტიანი **გეგმა რჩება ჩვენს მიერ განსახორციელებელი პროგრამის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც გახლავთ ყოვლისმომცველი ნაბიჯების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრულია იმისთვის, რომ მაქსიმალურად შემჭიდროვებულ მონაკვეთში შევცვალოთ ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე, რჩება ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად ჩვენს მიერ განსახორციელებელი პროგრამის. 2017 წლის განმავლობაში 4-პუნქტიანი გეგმა, რა თქმა უნდა, წამყვანი იყო ჩვენი მთავრობისთვის და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ 4-პუნქტიანი გეგმის მეშვეობთ განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანთ ქვეყანას და შემდგომი სამი წლის განმავლობაში შევძლებთ, რომ თვისობრივად ბევრი რამ შევცვალოთ უკეთესობისკენ“...

ანაკლიის პორტში 2020 წელს პირველი დიდი მოცულობის გემები უნდა მივიღოთ!

პრემიერ-მინისტრის **განცხადებით, ანაკლიის პორტი და მისი შემოგარენი ძალიან დიდ იმპულსს მოიტანს საქართველოს ეკონომიკაში.**

„წელს დაიწყო უმსხვილესი პროექტის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა. საბოლოო ჯამში, ეს არის რამდენიმე მილიარდდოლარიანი ინვესტიცია, თუმცა პირველი ეტაპი სამ წელიწადში დასრულდება და ვგეგმავთ, რომ 2020 წელს მივიღოთ პირველი დიდი მოცულობის გემები. ეს არის დაახლოებით 500-დან 600 მლნ-მდე ინვესტიცია ამ ორი-სამი წლის განმავლობაში, რაც დამეთანხმებით, მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ჩვენი ეკონომიკისთვის. მთლიანად ამ პორტის ზეგავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იქნება 21-ე საუკუნის საქართველოს ყველაზე მსხვილი პროექტი. მთლიანად პორტი და მისი შემოგარენი ძალიან დიდ იმპულსს მოიტანს საქართველოს ეკონომიკაში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

იანვრიდან დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე — შინაპატიმრობა

სასჯელაღსრულების **სისტემა ჰუმანური რეფორმების ნათელი მაგალითია,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა. კვირიკაშვილმა აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პირველი იანვრიდან დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე — შინაპატიმრობა.

„სასჯელაღსრულების სისტემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატებული მიმართულება ჩვენთვის და ჰუმანური რეფორმების ნათელი მაგალითი. პირველი იანვრიდან დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე — შინაპატიმრობა და კონტროლი განხორციელდება ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით. მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება, რაც ასევე დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია“...

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წელი

საქართველოს **ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონცერტს დაესწრო.**

მინისტრმა ღონისძიების დამსწრე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა. მიხეილ ჯანელიძემ საკუთარ გამოსვლაში ხაზი გაუსვა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ ისტორიულ კავშირებს, ასევე ისაუბრა ხალხთაშორის მეგობრულ ურთიერთობებსა და ორმხრივი თანამშრომლობის მზარდ პოტენციალზე. მინისტრმა აღ-



ნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები სამომავლო მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების ძლიერ ფუნდამენტს წარმოადგენს. მიხეილ ჯანელიძემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივი ძალისხმევით ახერხებენ ქვეყნებისა და ზოგადად რეგიონის პოპულარიზაციას, როგორც ევროპის ასევე აზიის მასშტაბით.

„ჩვენ კიდევ უფრო მეტ ნაბიჯს გადავდგამთ მომავალში იმისათვის რომ ეს პარტნიორობა, ეს მეგობრობა კიდევ უფრო თვალსაჩინო იყოს ყველა ჩვენი მეგობრისთვის, ყველა ჩვენი პარტნიორისთვის და ხელშესახები შედეგის მომტანი იყოს როგორც ჩვენი ქვეყნებისთვის ასევე ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც დაინტერესდება ითანამშრომლებს და გამოიყენებს ამ შესაძლებლობებს“, — აღნიშნა მინისტრმა. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით ასევე მიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დურსუნ ჰასანოვმა. ელჩმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ჩამოყალიბებულ სამაგალითო ურთიერთობებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გაიმართა ფიკრეტ ამიროვის სახელობის განჯას სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრის კონცერტი.

ახალი ფრაქცია — „ქართული ოცნება“ ძლიერი ეკონომიკისთვის!

უმრავლესობაში **შექმნილ ახალ ფრაქციას, რომელსაც გოჩა ენუქიძე უხელმძღვანელებს „ქართული ოცნება“ ძლიერი ეკონომიკისთვის ერქმევა.** აქციაში უმრავლესობის 11 წევრი გაერთიანდება. ფრაქციაში შევლენ პაატა მხეიძე ოთარ დანელია, ივლიანე წულაია, გოდერძი ჩაქსელიანი, თამაზ ნავერიანი, ირაკლი შიოლაშვილი, იოსებ მაკრახიძე, ედიშერ თოლორაია და გიორგი თოთლაძე.

თბილისის მერი წყნეთი-სამადლოსა და წყნეთი-ახალდაბის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

თბილისის **მერი კახა კალაძე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ზურაბ ალავიძესთან ერთად, წყნეთი-სამადლოსა და წყნეთი-ახალდაბის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.**

როგორც დედაქალაქის მერმა განაცხადა, აღნიშნული გზა სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რომელიც 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის დროს დაზიანდა.

„კარგად იცით, წყნეთი-ბეთანიის გზაზე 13 ივნისის სტიქიის შედეგად თუ რა პრობლემები შეიქმნა და ხედავთ არსებულ მდგომარეობასაც. აღდგენით სამუშაოებს ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. ეს გზა სრულად აღდგება და ყველაფერი თანამედროვედ მოეწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები გაზაფხულზე დასრულდება“, — აღნიშნა კახა კალაძემ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მადლობა გადაუხადა. ზურაბ ალავიძის განცხადებით,

წყნეთი-ბეთანიის გზაზე აქტიური მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის დროსაც საინჟინრო კუთხით, უნიკალური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

„პროცესში მიუნხენის გეოლოგიის ინსტიტუტი და შესაბამისი სპეციალისტები იყვნენ ჩართული. ისეთი საინჟინრო გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, რომელიც აქამდე საქართველოში არ განხორციელებულა. გაზაფხულიდან აღნიშნული გზა სრულიად აღდგება“, — განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა.

წყნეთი-სამადლოსა და წყნეთი-ახალდაბის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და 2018 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

კადიროვი: ჩვენ ველით ტერორისტებს საქართველოდან

ხელისუფლებას **აქვს ინფორმაცია ტერორისტების შესახებ, რომლებიც ჩეჩნეთზე თავდასხმისთვის არიან გამოგზავნილები.** ამის შესახებ ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა განაცხადა.

„ჩვენ გვესმოდა ამ ეშმაკების ლოზუნგები: ჩვენ მოვალთ რუსეთში! ავაფეთქებთ! გავანადგურებთ! ახლა ჩვენ დანამდვილებით ვიცით, გვაქვს ინფორმაცია ზოგიერთი ბოროტი სულის შესახებ, რომლებიც გამოგზავნილები არიან ჩეჩნეთში ტერაქტების მოსაწყობად. ისინი საქართველომდე არიან მისულები. ხელისუფლების მიერ ყველა შემოსასვლელ-გასასვლელი კონტროლდება. ჩვენ მათ ველით. თუ ჩეჩნეთში გადმოვლენ, ყველას გავანადგურებთ,“ — აღნიშნა კადიროვმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ერთი თვის წინ ჩატარებული სპეცოპერაციის კონტექსტი შეცვალა. კერძოდ, თუ აქამდე ანალიტიკოსები ქვეყნის მასშტაბებიდან და შესაძლო რეზონანსიდან გამომდინარე ნაკლებად მიიჩნევდნენ საქართველოს საერთაშორისო ტერორიზმის სამიზნედ, სუს-მა ამ მოლოდინებს ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცა – „განეიტრალებული ჯგუფის წევრები“ ტერორისტული აქტების განხორციელებას საქართველოსა და თურქეთში გეგმავდნენ, სამიზნე დიპლომატიური მისიები იყო“, თუმცა პასუხგაუცემელია კითხვა – რა დონის არის საფრთხე, დადასტურებულად შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ამ საფრთხის უკან საერთაშორისო ტერორიზმი დგას.

თავდაპირველად შს მინისტრმა პირველად ინფორმაციაზე დაყრდნობით ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო ტერორიზმზე, თუმცა უშუალოდ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ შესაძლო კავშირებზე არა, მსგავსი კავშირი დღეს არც სუს-ს დაუდასტურებია. შესაბამისად, მოგვიწევს აღნიშნული კავშირი თავად ახმედ ჩატაევის ბეგრაუნდში ვეძიოთ, რომელიც უკანასკნელი მონაცემებით „ისლამური სახელმწიფოს“ საერთაშორისო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ მან „ისლამური სახელმწიფო“ მის მიმართ გაჩენილი კითხვების გამო დატოვა. თავად ეს დეტალი ჩატაევის პერსონიდან გამომდინარე მისი საქართველოში ყოფნის სიმძიმეს არ ამსუბუქებს, თუმცა მის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და მოსალოდნელი საფრთხეების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, დღესვე ცნობილი გახდა, რომ ჩატაევთან კავშირისთვის საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს. მათგან ერთი, 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი სიკვდილს ებრძვის. მას ჭრილობები თავისა და მხარის არეში აღენიშნება. ძალოვანი უწყების ინფორმაციით, ახალგაზრდამ წინააღმდეგობა გასწია და ხელყუმბარის მოქმედებაში მოყვანას შეეცადა. განსხვავებულ რეალობას წარმოაჩენენ ახალგაზრდის ახლობლები. მათი თქმით, მაჩალიკაშვილი „კარის შეღებისთანავე საწოლში დახვრიტეს“. აღნიშნულ ინციდენტს და ზოგადად პანკისელი ახალგაზრდების ისნის სპეცოპერაციასთან დაკავშირებას ხეობაში მღელვარება მოჰყვა.

„პანკისის ხეობა ძალოვანი სტრუქტურებისთვის „განტევების ვაცია“. რაიმე მოხდება, აუცილებლად აქ უნდა მოვარდნენ და აქედან უნდა ააქოთონ ყველაფერი. მეორეც, ხელოსანი დოქს ყურს იმ მხრიდან მიაბამს, საიდანაც უნდა,“ – განაცხადა უხუცესთა საბჭოს წევრმა ხასო ხანგოშვილმა.

სუს-ის მიერ დღეს განსაჯაროებული ინფორმაცია კითხვებს უჩენს კავკასიოლოგ ალეკო კვახაძეს:

„დაკავებული ბაიდურ ჩოფანაშვილი ქართველ სამართალდამცველებს აიუპ ბორჩაშვილის (საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლობის ბრალდებით გასამართლებული) დაკავების დროსაც ჰყავდათ აყვანილი, თუმცა დაკითხვით შემოიფარგლნენ და გაათავისუფლეს. მას შემდეგ აღრიცხვაზე იყო აყვანილი. როდესაც აღრიცხვაზე აყვანილი პირი მსგავსი მასშტაბის მოქმედებებში არის მხილებული, ეს გარკვეულ ეჭვებს და კითხვებს ბადებს. გარდა ამისა, ორი წლის წინ ამ ადამიანმა თურქეთის საზღვრის გადაკვეთა სცადა, თუმცა თურქეთიდან უვადო დეპორტაცია მიიღო. საინტერესოა, ამ პირობებში როგორ მონაწილეობდა თურქეთიდან მოქალაქეების შემოყვანის ოპერაციაში? კიდევ ერთი დაპატიმრებული ზურაბ გორნაკაშვილი სპეცოპერაციის დღეებშიც იყო დაკავებული და შემდეგ გათავისუფლდა. ეს ადამიანი ხელოსანია. მუშაობდა სხვადასხვა ობიექტზე, მათ შორის სახელმწიფო ტენდერებზეც. ბინას, რომელშიც სპეცოპერაცია ჩატარდა, საწყობად იყენებდა. გარდა ამისა, საინტერესოა, თუ ამ ადამიანებმა ასე კარგად იცოდნენ საქართველოს რელიეფი, თურქეთ-საქართველოს საზღვრის „შავი ხვრელები“, ამ ერთი თვის განმავლობაში მიმალვა რატომ არ სცადეს? ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, დაკავებული 5 პირიდან სამს მსგავსი ოპერაციის განხორციელების გამოცდილება და შესაძლებლობა არ ჰქონდა. მე არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაცია მეტ კითხვებს აჩენს“.

რაც შეეხება ახალ რეალობას და ამ რეალობიდან მომდინარე საფრთხეებს, კვახაძე რამდენიმე მიმართულებით ხედავს:

„ბუნებრივია, სირიაში მყოფი საქართველოს მოქალაქეები მოინდომებენ უკან დაბრუნებას, ან შედარებით უსაფრთხო ადგილზე გადასვლას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საფრთხეა რუსეთის რამდენიმე ათასი მოქალაქის დაბრუნების საკითხიც. მათთვის ყველაზე მოკლე გზა საქართველოზე გადის. მოგეხსენებათ, საქართველო-თურქეთს, საქართველო-რუსეთს შორის (ცალმხრივად) უვიზო რეჟიმი მოქმედებს. ისინი აუცილებლად შეეცდებიან ამ დერეფნის გამოყენებას. გარდა უშუალოდ ტერორიზმია საფრთხე მომდინარეობს თავად რუსეთიდან – პანკისის თემა რუსული დიპლომატიის რიტორიკაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. გვახსოვს ლავროვის არაერთი განცხადება, რომ პანკისში ტერორისტების ბანაკებია და ა.შ. უკვე წლებია, რუსულ პოლიტიკურ ელიტაში მუსირებს საქართველოში ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის გახსნის აუცილებლობის თემა. თუ საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ თუ სხვა „ჯიჰადისტური“ დაჯგუფებების მებრძოლების მოძრაობა დაფიქსირდება, ბუნებრივია, რუსეთს ექნება შესაძლებლობა საქართველოსთან მიმართებაში აგრესიული ნაბიჯები გადადგას. მით უფრო, რუსეთის სამხედრო დოქტრინა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ნებას რთავს, ძალა გამოიყენოს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე თუ რუსეთის მოქალაქეს საფრთხე ექმნება“.

რაც შეეხება საფრთხის დონეს, საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტის გიორგი გობრონიძის შეფასებით, მომატებულია.

„ტერორისტული ორგანიზაციებისთვის მსგავსი ტიპის თავდასხმები რაღაც მომენტში შესაძლოა, საინტერესო არ იყოს, მაგრამ დიპლომატიური მისიების თვალსაზრისით რეზონანსი იქნება. გადავხედოთ „ალქაიდას“ პრაქტიკას – მან, როგორც საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციამ ფართო ასპარეზზე გამოსვლა კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოებზე თავდასხმების განხორციელებით დაიწყო. საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, რომელი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე იგეგმებოდა თავდასხმები, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღქმა, რა პოლიტიკური მოთხოვნა არსებობდა ზოგადად საქართველოსთან მიმართებაში. ტერორიზმი პოლიტიკური ძალადობის ერთგვარი ფორმაა, შესაბამისად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელსაც გააჩნია მოტივი - შეაცვლევინოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ან სხვა ტიპის ქცევა და მოახდინოს გავლენა უშუალოდ სახელმწიფოზე ან საერთაშორისო თანამეგობრობაზე, რომლის წევრიცაა ეს სახელმწიფო. გავიხსენოთ ესპანეთის ტერაქტები – მიზანი ავღანეთიდან ესპანეთის შეიარაღებული ნაწილების გამოსვლა იყო. ეს დეტალები საინტერესოა. აქამდე ვერსიებზე ვსაუბრობდით, ახლა კონკრეტული მოცემულობა გაჩნდა. ბუნებრივია, ბრალდებულების ახლობლები შეეცდებიან განსხვავებული ვერსიის დამტკიცებას და გაჩნდება ორი რეალობა, თუმცა ეს არ უნდა გახდეს რწმენის ან ურწმუნოობის საგანი. ჩვენ არ ვსაუბრობთ რელიგიურ სწავლებაზე. თუ არსებობს მტკიცებულებებით გამყარებული ბრალდება, სასამართლოში გამოჩნდება. საქართველოში არსებობდა „ისლამური სახელმწიფოს“ დასაყრდენი, რომლის ხელმძღვანელიც დააკავეს. ის ახორციელებდა საქართველოდან მოქალაქეების რეკრუტირებას ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით. იმის თქმა, რომ კონკრეტული ხელმძღვანელის დაკავებით საფრთხე მოიხსნა, გადაჭარბებულია. როდესაც არსებობს ტერორისტული კლასტერი, არ შეიძლება გამორიცხვა, რომ ვიღაცები ამ ყველაფერს გამოიყენებენ. საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: ყველა ეს ადამიანი (იგულისხმებიან გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული პირები) იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ სხვა ქვეყნები იყვნენ დაინტერესებული საქართველოში ამგვარი ტერორისტული აქტების განხორციელებით. საქართველოს ამგვარი სამწუხარო გამოცდილება გააჩნია – ყველა ტერორისტული აქტი რაც კი საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულა გარდა ერთისა, მეორე სახელმწიფოს მიერ არის მხარდაჭერილი. ამასთან, სპეცსამსახურებს გარკვეული ოპერატიული პოზიციები გააჩნიათ სხვადასხვა ტიპის ტერორისტულ ორგანიზაციებში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვერსიის ცალსახად უარყოფა არ შეიძლება. დაბალი ალბათობის საფრთხე არ ნიშნავს, რომ საფრთხე საერთოდ არ არსებობს.

განეიტრალებული ჯგუფის „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს არ დაუდასტურებია, ადრე ახსენა შს მინისტრმა საერთაშორისო ტერორიზმი, მაგრამ ახმედ ჩატაევის ბეგრაუნდიდან გამომდინარე შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ამ კავშირზე. სუს-ის მიერ დღეს მოწოდებული ინფორმაცია ნიშნავს იმას, რომ საქართველო, როგორც გამტარი ქვეყანა „ტრანსფორმირდა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ ობიექტივში მოექცა როგორც სამიზნე და მსგავს თავდასხმებს უნდა ველოდოთ?

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო „გამტარი“ ქვეყნის ფუნქციას ნამდვილად შეინარჩუნებს – ტერორისტები საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას შეეცდებიან, თუმცა ასევე ცხადია, რომ სახელმწიფომ კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას თვითონ ქვეყნის შიგნით ტერორისტული აქტების პრევენციის მიზნით. ქვეყნის ანტიტერორისტული პოლიტიკა უნდა გადაიხედოს. თუ აქამდე იყო დაბალი ინტენსივობის, ახლა ეს საფრთხეები მომატებულია. აქ საინტერესოა ერთი ნიუანსი – „ისლამური სახელმწიფო“ დამარცხების შემდეგ გადავა იატაკქვეშეთში და შეეცდება სხვადასხვა ქვეყნებში მსგავსი პატარ-პატარა უჯრედების გააქტიურებას. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ დასუსტების ფონზე „ისლამური სახელმწიფო“ შეეცადოს რეაბილიტაციას მათი გადმოსახედიდან შედარებით სუსტ სახელმწიფოებში ტერორისტული აქტების მოწყობით, განსაკუთრებით დიპლომატიურ მისიებზე შეტევით. თავად საქართველოს დაზიანება მათთვის ბევრს არაფერს იძლევა, მაგრამ რეზონანსული იქნება რომელიმე დასავლური, ძლიერი სახელმწიფოს საელჩოზე თავდასხმის განხორციელება.

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲛᲣᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ,
„ᲐᲫᲪᲔᲜᲢᲘ“

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მთავარმა პროკურატურამ პანკისის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

„საქართველოს პროკურატურამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციისას, მოქალაქე თ.მ.-ს ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე. ამჟამად ტარდება ყველა გადაუდებელი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება. შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას“, – განაცხადეს პროკურატურაში.

ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲐ!

ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲘᲡ ხეობაში უხუცესთა საბჭომ და პანკისში მომუშავე არასამთავრობოებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი ელოდებიან გამოძიებას, თუმცა უკმაყოფილებას გამოთქვამენ ჩატარებული სპეცოპერაციისას მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდის თამერლან მაჩალიკაშვილის გამო.

„ვაკვირდებით პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს. ქართველი ძალოვნების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრი ერთსულოვანია, რომ ხელისუფლების პრეროგატივაა საკუთარ ქვეყანაში წესრიგის დამყარება. ჩვენი უკმაყოფილება განხილულია იმ ფორმების წინააღმდეგ,რომლის გამოყენების შედეგად ახლგაზრდა თამერლან მაჩალიკაშვილი მძიმე მდგომარეობაშია...ველდოებით გამოძიებას“ – ნათქვამია განცხადებაში.

ᲛᲔᲓᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲘᲛᲔᲓᲔᲑᲔᲚ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ

ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲨᲘ სპეცოპერაციის დროს დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ რთულია. ის ამ დროისთვის მართვის სუნქვაზე იმყოფება. როგორც მაჩალიკაშვილის მეგობარმა ლევან დუიშვილმა „პირველ რადიოს“ განუცხადა, მედიკოსები დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებენ. იმის გათვალისწინებით, რომ მისი ჯანრმთელობის მდგომარეობა მძიმეა, მისი ტრანსპორტირება არ შეიძლება, და შესაბამისად, მისი თბილისში გადმოყვანა ვერ ხერხდება. 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილს ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული. თბილისიდან თელავში ჩასული ნეიროქირურგები ოპერაციას 3 საათზე მეტ ხანს ატარებდნენ.

მანანა ნიკოლაიშვილი:

მტკნარი სიცრუეა, თითქოს საქართველოში კვალიფიციური ახალგაზრდისთვის სამუშაო ადგილი არ არის!

რატომ არ სჭირდება საქართველოს ამდენი უნივერსიტეტი, რატომ ღუპავენ ახალგაზრდებს საეჭვო წარმომავლობის საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რატომ არის მცდარი მოსაზრება, თითქოს საქართველოში ნიჭიერ სტუდენტებზე მოთხოვნა სწავლის დასრულების შემდეგ აღარ არის?! ამის შესახებ ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი გვესაუბრება.

— შევარდნაძის ხელისუფლებიდან დაწყებული, დიდი ხანია ვამბობ, რომ საქართველოს არ სჭირდება ამდენი უნივერსიტეტი. მართალია, სააკაშვილის დროს უმაღლესი სასწავლებლები ერთი ასეული უნივერსიტეტით შემცირდა, მაგრამ ერთი ასეული კიდევ შესამცირებელია. ძალიან კარგად ვიცნობ ახალ სტანდარტებს და კრიტერიუმებს, რითაც უნდა გაიაროს ავტორიზაციააკრედიტაცია უმაღლესმა სასწავლებელმა. 2017 წელს მიიღეს ახალი სტანდარტები. ფაქტობრივად, არც ერთ სხვა დოკუმენტზე არ მითქვამს, რომ კარგია, მაგრამ ახალი სტანდარტების შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ეს დოკუმენტი ნამდვილად უნაკლოა. მთავარია, სტანდარტები ქაღალდზე არ დარჩეს.

ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა მიიღო ეს სტანდარტები და მე მაშინვე ვუთხარი ქალბატონ თამარ სანიკიძეს, რომ, თუ ამ კრიტერიუმების დაცვით გაივლიან უნივერსიტეტები ავტორიზაციააკრედიტაციას, მაშინ ძალიან ბევრი მათგანი გაუქმდება. ხოლო, ვინც გაივლის აკრედიტაციას, ამ უმაღლესებში ნამდვილად კონკურენტუნარიანი, ცოდნით აღჭურვილი სტუდენტი გაიზრდება და ეს იქნება რეალურად საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო ცენტრი. აღნიშნული კრიტერიუმები სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს თანაბრად ეხება.

— რომელ კრიტერიუმებზეა საუბარი?

— ეს ვრცელი დეტალიზებული კრიტერიუმებია, მაგრამ საერთოდ ეხება უმაღლესი სასწავლებლების სტატუსის მიღებასა და აკრედიტაციის გავლას. ყურადღება ექცევა სასწავლებლის ინფრასტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, პრაქტიკას. მოკლედ, სამეცნიერო, აღმზრდელობითი, სასწავლო თუ დახელოვნების პროცესები ერთად არის შერწყმული. თეორიის სწავლება ერთია, მაგრამ პრაქტიკა მეორეა. ამისთვის მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა სასწავლებელს საამისო ბაზები, კაბინეტ-ლაბორატორიები, ძვირად ღირებული ხელსაწყოები, რომელიც პრაქტიკული მეცადინეობისთვის აუცილებელია. გააჩნია, რა პროფილისაა უნივერსიტეტი. თუ ის სამედიცინო პროფილისაა, მაშინ მას უნდა ჰქონდეს საუნივერსიტეტო კლინიკები; თუ სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის მიმართულებისაა, მაშინ შესაბამისი ბაზები უნდა ჰქონდეს სტუდენტებისთვის პრაქტიკის გასავლელად. თუკი ამ სტანდარტების დაცვას მოითხოვს სახელმწიფო, არ წავა დათმობაზე, არ დახუჭავს თვალს ნაკლოვანებაზე, მაშინ ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ვერ გაივლის აკრედიტაციას და დაიხურება. არ არის საჭირო ამდენი უმაღლესი, თუ მას შესაბამისი ბაზები არ ექნება.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილის პერიოდში მეცნიერებასა და განათლებაზე ექსპერიმენტები ტარდებოდა, საინტერესოა, რატომ მოერიდა სააკაშვილი დანარჩენი უხარისხო უმაღლესების დახურვას?

— მართლია, სააკაშვილის დროს ძალიან ბევრი, ასამდე უმაღლესი დაიხურა, მაგრამ, რაც დარჩა, იმაზე თვალი დახუჭეს „ნაციონალებმა“, რადგან ნაცნობობა, მეგობრობა საქართველოში მაინც არსებობს. ეს ყველაფერი კორუფციაა. არ არის სავალდებულო, ადამიანს ფული ხელიდან ხელში გადასცე, თუმცა არც უმაგისობა იყო აკრედიტაციებთან დაკავშირებით. ლიცენზირების მინიჭებასთან დაკავშირებით ხშირად დიდ ფინანსურ ნაკადებსა და კორუფციულ გარიგებებთან გვაქვს საქმე. თუ ავტორიზაციას ვერ გაივლი, არ გაქვს უფლება, გახსნა უმაღლესი სასწავლებელი და მიიღო სტუდენტები. თუ მაინც გახსენი და სხვადასხვა პროგრამაზე ავტორიზაცია ვერ გაიარე, არ გაქვს სპეციალისტების გამოშვების უფლება. ასე რომ, ეს რთული სისტემაა და კრიტერიუმებს ყველანაირად უნდა აკმაყოფილებდე. მთელი ეროვნული და სახელმწიფო რესურსები იხარჯება ნომერ პირველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისთვის და მას მაინც აქვს ამდენი პრობლემა, ხოლო სადღაც ქუჩის მოხვეულში გახსნილ კერძო უნივერსიტეტს სრულყოფილი ბაზა ექნება?

— უნივერსიტეტების სიჭარბე ხშირად სოფლების მიტოვების მიზეზი ხდებოდა. ახალგაზრდები დედაქალაქში გამორბოდნენ და სწავლის ნაცვლად კრიმინოგენურ სიტუაციაში ვარდებოდნენ.

— სოფლების დატოვება ნაწილობრივ ამითაც იყო განპირობებული. აქ მთავარია, ჩვენ რა გვინდა. ნებისმიერ სახელმწიფოს და ნორმალურად მოაზროვნე ერს სურს, რომ ახალგაზრდას, რომელიც ჩააბარებს უმაღლესში და აიღებს დიპლომს, იმ დიპლომის შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები ჰქონდეს. თუ ექიმია, არ მოგკლას, თუ ინჟინერია, თავზე არ ჩამოგამხოს რაღაც, თუ სოფლის მეურნეობის მუშაკია, მოიწიოს, გაზარდოს მოსავალი და არ მოგწამლოს. ჩვენ გვინდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რაც სწავლისა და მაღალი დონის საუნივერსიტეტო განათლების გარეშე არ მიიღწევა.

იმ უნივერსიტეტებში, სადაც არა აქვთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულფასოვან ცოდნას ვერ მისცემენ. სწორია პრემიერი კვირიკაშვილი, ეს ტყუილად დაკარგული წლები, უმუშევრობისთვის განწირული ახალგაზრდებია. რატომ ვღუპავთ მათ, იმ წლებს ხომ სხვა საქმეს მოახმარდნენ? მშობელს და თავად ახალგაზრდას ჰგონია, რომ უმაღლესს დაამთავრებს, აიღებს დიპლომს და დაიწყებს მუშაობას. სინამდვილეში ვერ დაიწყებს მუშაობას, რადგან ყველაფერი განკერძოებულია და კერძო ბიზნესი ნიშნავს, რომ ყველა მეპატრონე ეძებს კარგს სპეციალისტს. ამ მხრივ უამრავი მოთხოვნაა ქართულ უნივერსიტეტებშიც, ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებშიც სწორედ ბიზნესიდან და სახელმწიფო სექტორიდან წამოსული, ელოდებიან და რიგია შექმნილი ძლიერი სტუდენტების გადასაბირებლად. ასეთ სტუდენტებს უმაღლესის დამთავრებისთანავე არ ექნებათ ადგილი საძებნი, მაშინვე წაიყვანენ. ასე ხდება საქართველოშიც. ეს არ ეხება ჰუმანიტარულ დარგებს, არამედ ტექნიკურ და საბუნებისმეტყველოს. ამ პროფილის კარგ სტუდენტებს სამსახური გარანტირებული აქვთ. ასევეა სამედიცინო პროფილიც, წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდიებს უნიშნავენ გადასაბირებლად. ამიტომ სიმართლეს არ შეესაბამება, თითქოს საქართველოში სამუშაო ადგილები არ არის. როგორ არ არის? კვალიფიციური ახალგაზრდისთვის ძალიან ბევრი ადგილია საქართველოში.

— ჰუმანიტარებმა რა დააშავეს, მათზე მოთხოვნა რატომ არ არის?

— ამ რაოდენობით ჰუმანიტარები არ სჭირდებათ, არ არის ბაზარზე ამდენი ადგილი. 21-ე საუკუნე მაინც უფრო ტექნიკის საუკუნეა. ეს ჩვენმა სახელმწიფომ დიდი ხანია, განაცხადა და პრიორიტეტულად გამოაცხადა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, რასაც ბიუჯეტი აფინანსებს. რატომღაც მშობლები აყოლილები არიან შვილებს, იმას კი არ ეუბნებიან ბავშვებს, დაჯექი, ისწავლე ფუნდამენტური მიმართულებები, ჩვენს ქვეყანას სჭირდება და ამიტომაც პერსპექტიულია საინჟინრო, სამედიცინო, სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის მიმართულებით დასაქმება. არა, აბიტურიენტები აბარებენ სადღაც, იღებენ უდაბლეს ქულებს, მერე გადარბიან სხვა ფაკულტეტზე და ფლანგავენ ბიუჯეტის თანხას. ზემოაღნიშნულ საგნებს კი ერიდებიან, რადგან ამას სკოლაში დაჯდომა და სწავლა სჭირდება, ეს უმაღლესში არ ისწავლება. უმაღლესში ისწავლება ამ საგნების გაგრძელება, ურთულესი კურსით და, თუ სკოლიდან საფუძველი არ გაქვს, ვეღარ გაგრძელებ სწავლას.

ცხადია, სოფელს მეტი ყურადღება სჭირდება. ამ მხრივ სახელმწიფო პოლიტიკა შესაცვლელია. სამუშაო ადგილები სოფელში ადვილად შესაქმნელია, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეუქმნას გლეხს ეს პირობები. ჩვენს მეზობელ თურქეთში უმაღლეს დონეზეა სოფლის მეურნეობა განვითარებული. თურქებს კომუნიკაციები გაუყვანეს, თხილის პლანტაციები შეუქმნეს, მისცეს დაბალპროცენტიანი, მრავალწლიანი სესხები, ზობს რაღაც აჩუქეს, სახელმწიფომ ყველაფერი გაუმზადა ხალხს და ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას.

რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა, როგორც მეუბნებიან, ყველაზე დიდი ფული ჩაიდო სოფლის მეურნეობაში, 1 მილიარდზე მეტია დახარჯული, მაგრამ სად ჩანს ეს ფული, რომ ჩადებულია? ზაფხულობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიხდება გადაადგილება, ვერსად ვნახე სოფლის მეურნეობა აყვავებული და ამით ვინმე გამდიდრებული ან შემოსავლიანი. თუ ეს ფული დაიტაცეს ან დაიკარგა, მაშინ ეს სახელმწიფო დონეზე უნდა იყოს აყვანილი.

— ხშირ შემთხვევაში, კერძო უმაღლესების რექტორები არაპროფესიონალები არიან. ამ დროს კი მათი უნივერსიტეტები სრულიად სხვა პროფილის განათლებას აწვდიან ახალგაზრდებს. ისინი არაპროფესიონალ ლექტორებს იწვევენ. ნუთუ საქართველოში საკმარისი ადამიანური რესურსი არ არის, რომ უკეთესი ლექტორები შეარჩიონ?

— ამდენი რესურსი არ არის. ჩვენი ქვეყანა პატარაა და ემიგრაციაში ძირითადად ინტელიგენციაა წასული უნივერსიტეტებიდან, კვლევითი ინსტიტუტებიდან. ადგილზე დარჩენილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაკავებული არიან წამყვან უნივერსიტეტებში. ასეთებია ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, ბენდუქიძის თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტები.

— შემცირებული უნივერსიტეტების ფონზე რამდენად გაიზრდება კონკურენცია მისაღები გამოცდების დროს და თითოეული ადგილისთვის გაშმაგებული ბრძოლა ხომ არ დაიწყება?

— კერძო სექტორის მოწინააღმდეგე არ ვარ. კერძო სექტორი უნდა არსებობდეს. საბაზრო ეკონომიკის დროს, როცა შენ გინდა მრავალვარიანტული და დემოკრატიული განათლების სისტემა, არ შეიძლება შეზღუდო და თქვა, რომ უნდა არსებობდეს მხოლოდ სახელმწიფო სექტორი და არ უნდა არსებობდეს კერძო სექტორი. განათლება ყველაზე ძვირად ღირებული დარგია და ძალიან დიდი თანხაა საჭირო სრულყოფილი საუნივერსიტეტო კომპლექსის შესაქმნელად. თუკი ამას თავს გაართმევენ კერძო მესაკუთრეები, რა თქმა უნდა, მათი სასწავლებლები დარჩება და გაივლიან ავტორიზაციას. ვინც ვერ გაივლის, ეს არ არის ტრაგედია, მოემზადება, დახარჯავს ფინანსებს, შეიტანს განაცხადს და ხელახლა მიიღებს აკრედიტაციას. ერთი ხელის მოსმით სახელმწიფო ყველა უმაღლეს სასწავლებელს ვერ დახურავს.

— საქართველოსთვის უმაღლესების ოპტიმალური რაოდენობა რამდენია?

— საბჭოთა დროს 18 უმაღლესი სასწავლებელი იყო, რაც იმდროინდელ სტუდენტებს ჰყოფნიდათ, მაგრამ მაშინ ძალიან დიდი კონკურსები ტარდებოდა. ახლაც, უმაღლესი სასწავლებლების შემცირების კვალდაკვალ, კონკურსები გაიზრდება. ვისაც არ ექნება მაღალი დონის ცოდნა, ვერ მოხვდება უმაღლესში. არა მგონია, 18-მდე შემცირდეს უმაღლესების რაოდენობა. რა თქმა უნდა, უფრო მეტი დარჩება და რამდენიმე ათეული უმაღლესი სასწავლებელი მაინც გვექნება. თუ მეხსიერება არ მღალატობს, შარშანწინ 64 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი იყო, შარშანაც 64-ზე მეტი არ ყოფილა. თუკი ამ 64-დან ცალკეული სასწავლებლები გამოეთიშებიან, ეს არ იქნება ტრაგედია და არ გამოიწვევს დიდ ძვრებს, მაგრამ, თუკი განახევრდება, მაშინ კონკურსები გაიზრდება. უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა, მათი 98% ნახევრად გაკოტრების რეჟიმში მუშაობს, ანუ სტუდენტების სრულყოფილ შევსებას ისედაც ვერ ახდენს. ადგილები ძირითად უმაღლეს სასწავლებლებში ივსება, ხოლო კერძოებში უფრო თავისუფალი ადგილებია.

ჯავახიშვილში, სამედიცინო უნივერსიტეტში, თავისუფალ უნივერსიტეტში, მეტ-ნაკლებად ილიაუნშიც, ასევე, ტექნიკურ უნივერსიტეტში ადგილები არა მარტო ივსება, არამედ აბიტურიენტები გარეთ რჩებიან, გააჩნია ფაკულტეტებს. დანარჩენი, ვერ ერთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ ავსებს ადგილებს. ძალიან ცოტა ადგილია ათვისებული და დანარჩენი შეუვსებელია. ასე რომ, რომელი უმაღლესიც გაივლის ავტორიზაცია-აკრედიტაციას, იქ დარჩენილი ადგილებიც შეივსება.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

რაისა ქარაია:

როცა შენიანი ძირს გითხრის!

...ან კი ვინ გაგვიზომა აფხაზეთიდან გამოყოლილი დარდი და გულისტკივილი?

აფხაზეთი საქართველოს დიდი და მწველი ტკივილია, ადამიანური ტრაგედიებით სავსე ტკივილი, რომელიც არასოდეს გაფერმკრთალდება, რა დროც არ უნდა გავიდეს. ისტორიამ თითოეულ ქართველს დააკისრა არა მარტო მისი დაბრუნების ვალდებულება, არამედ იმ გარედან წაძეზებულ დაპირისპირებაში ჩადენილი შეცდომებისა და გაუთვლელი საბედისწერო ნაბიჯების გაანალიზება, გაკვეთილის გამოტანა.

თუ როგორი მძაფრი შეიძლება იყოს ადამიანის განცდა წარსულის ზოგიერთ მოვლენასთან დაკავშირებული სხვის მიერ გამოთქმული აზრის მიმართ, ამას **ნაპოლეონ მესხიას** წიგნზე **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“** ქალბატონ **რაისა ქარაიას** რეაქცია მოწმობს. იგი აფხაზეთის მკვიდრი და ავტონომური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრია. მისი აღშფოთების მიზეზი ზემოხსენებულ წიგნში მოყვანილი ცილისმწამებლური ბრალდებებია, რომელსაც სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაშიც აღნიშნავს: „ნაპოლეონ მესხია უსაფუძვლოდ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობის გარეშე, შეგნებულად ბრალს სდებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მოსარჩელე რაისა ქარაიას, თითქოს მან ბატონებთან თ. ნადარეიშვილთან, ე. გვაზავასთან და ქალბატონ ე. ასტემიროვასთან ერთად დაარწმუნა სამხედრო საბჭო აფხაზეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად სამხედრო ჩარევის აუცილებლობაში, თითქოს რ. ქარაია აფხაზებსა და ქართველებს შორის მხოლოდ შუღლსა და მტრობას აღვივებდა, პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირების სისხლიან კონფლიქტში გადაზრდისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ამზადებდა, მხარში ედგა ექსტრემისტულ ძალებს, იყო მეხუთე კოლონის აქტიური წევრი“.

ნ. მესხიას აღნიშნულ წიგნში ამ და სხვა გამოთქმული დაუსაბუთებელი მოსაზრებების გამო ქალბატონმა რ. ქარაიამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლის ერთი ამონარიდი ზემოთ შემოგთავაზეთ. სასამართლო დავის საგანს ნაპოლეონ მესხიას მიერ რაისა ქარაიას მიმართ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა წარმოადგენდა. აღნიშნულ სარჩელზე სასამართლოს გადაწყვეტილებაში (მოსამართლე ლ. ცანავა), კერძოდ, აღნიშნულია: „1. მიღებულ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რაისა ქარაიას სარჩელი დაკმაყოფილდეს. 2. დაევალოს მოპასუხე ნაპოლეონ მესხიას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, პრესაში ან ტელევიზიის მეშვეობით უარყოს წიგნში „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ გამოქვეყნებული რაისა ქარაიას პატივისა და ღირსების შემლახველი შემდეგი ცნობები...“ (**შემდეგ მოდის შესაბამისი ციტატები — რედ.**).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში ქალბატონ რაისა ქარაიას სტუმრობის მიზეზი ის გახლდათ, რომ ბატონმა ნ. მესხიამ სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება არა თუ არ შეასრულა, მან სასამართლოს გადაწყვეტილებას სისულელე უწოდა, ქალბატონ რ. ქარაიას კი, ცოტა არ იყოს, აგდებული ტონის ბარათიც მისწერა.

— ქალბატონო რაისა, თქვენი სარჩელის ამბავს კი გავაცნობთ მკითხველს, რითაც ბატონ ნ. მესხიას გასაკეთებელს ნაწილობრივ მაინც შევასრულებთ, მაგრამ ამით მხოლოდ ზოგად სურათს წარმოვუჩენთ, ფაქტობრივი ინსინუაციები კი განზე დარჩება. მაინც რაზეა წიგნში ლაპარაკი კონკრეტულად?

— საქმე ეხება ნ. მესხიას წიგნში „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ აღწერილ აფხაზეთის ომისდროინდელ ისტორიას, რომელშიც მოყვანილია „ფაქტები“ იმის შესახებ, თითქოსდა აფხაზეთის „გასხვისებაში“ ლომის წილი იმდროინდელი ქართული ხელისუფლების პუტჩისტური ნაწილის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივ „ექსტრემისტულად“ განწყობილ ზემოთ ხსენებულ დეპუტატებსაც, მათ შორის მეც მიმიძღვის. სინამდვილეში, წიგნში წარმოდგენილი მასალა რეალურ ისტორიას აშკარად აცდენილია, თანაც იგი უაღრესად შეურაცხმყოფელია არა მარტო დასახელებულ „დამნაშავეთათვის“, არამედ მათთვისაც, ვისაც გულწრფელად უყვარს საქართველოც და მისგან განუყოფელი აფხაზეთიც.

— თქვენ ამბობთ, რომ წიგნში ავტორი თქვენს გარდა სხვა პირებსაც ადანაშაულებს დატრიალებულ ტრაგედიაში. მათი რეაქცია როგორი იყო?

— წიგნში მოყვანილ ე. წ. „ფაქტებს“ არა მარტო მთელმა დეპუტატთა კორპუსმა, არამედ ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამაც აბსურდული და მტკნარი სიცრუე უწოდა: „მე არ ვიცი, რამ გამოიწვია ბატონ ნ. მესხიაში კოლეგებისადმი, მით უმეტეს, ქალბატონებისადმი ასეთი სიძულვილი, რამ უბიძგა მას ასე უზნეო ცილისწამებისკენ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული — ეს წიგნი აბსოლუტურად არ ემსახურება არც სიმართლეს, რისი პრეტენზიაც აქვს ავტორს და არც კონფლიქტის დარეგულირებას. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი, სეპარატისტული იდეოლოგიით გაჟღენთილი და ბოღმით სავსე კაცის ნაწერი“, - ასეთი გახლავთ ა. მესხიას წიგნზე „Как отторгалась Абхазия“ მისი კომენტარის ერთი ამონარიდი.

— პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელების გამო თქვენ ბატონ ნ. მესხიას მიმართ სასამართლოში სარჩელი შეიტანეთ, რომელმაც ის დააკმაყოფილა. მოვლენები შემდგომ როგორ წარიმართა?

— მართალია, სასამართლომ დააკისრა ნ. მესხიას წიგნში გამოქვეყნებული და სინამდვილესთან შეუსაბამო, ჩემი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა პრესის ან ტელევიზიის საშუალებით, მაგრამ ვინაიდან შეცდომის აღიარება და ბოდიშის მოხდა მხოლოდ ვაჟკაც, ნამუსიან ადამიანებს შეუძლიათ, ხოლო ბატონ მესხიას ამის გაკეთების საშუალებას მისი მორალური და ზნეობრივი მდგომარეობა ნამდვილად არ აძლევს, ამიტომაც სასამართლო დადგენილების შესრულებაზე მან უარი განაცხადა.

— ბუნებრივია, საინტერესოა, მაინც რა არის თქვენსა და თქვენი კოლეგების მიმართ ბატონ მესხიას ესოდენ დიდი გაღიზიანების მიზეზი?

— როგორ გითხრათ... „ვის როგორ სტკივა აფხაზეთიო?“ — კითხულობს ნ.მესხია.... და ვინ გაზომა ეს გულისტკივილი, ვის შეუძლია ჩემი სამშობლოსადმი სიყვარულის, ერთგულების და ტკივილის გაგება ყოვლისმხედველი უფლის გარდა?

- პირადად რომ დაგსვათ ახლა ბატონ ნ. მესხიას პირისპირ, მაინც რას ეტყოდით?

— ვეტყოდი აი, რას: იცით, კარგა ხანს ვიფიქრე, რამ მიგიყვანათ აქამდე, თქვენი კოლეგების და თანამემამულეების ზურგს უკან ცილისმწამებლური „განსჯა“ რაში დაგჭირდათ-მეთქი? ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს — არაფერში! ეს, უბრალოდ დაავადებაა სახელწოდებით „ყველა ცუდია ჩემს გარდა“, რომელიც მაშინ შეგეყარათ, ჯერ კიდევ სოხუმში, როცა დიდი ხნის ნანატრი და ნალოდინევი თანამდებობისთვის შეუფერებლად ჩაგთვალეს — აფხაზებმა, მიუხედავად ქართული დეპუტაციის მცდელობისა, თქვენი კანდიდატურის დაყენება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მიზანშეუწონლად ჩათვალეს. უფრო მეტიც, თავად თქვენ დაგასახელებინეს ბატონ გივი ლომინაძის კანდიდატურა. იმ დღიდან მოყოლებული ეს დაფარული ბოღმა გიწამლავთ გონებას. არც 2009 წელს გწყალობდათ ბედი — უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარობისთვის ვერ გაგიმეტათ იღბალმა. ჰოდა, გაგიასმაგდათ შავ-ბნელი ემოციები. ციტატის ავტორს ვერ ვიხსენებ, მაგრამ სავსებით ვეთანხმები — თურმე, ასაკი კი არა, შური, ბოღმა და სიძულვილი აბერებსო... ხომ არ აჯობებს, ისედაც ხანდაზმულმა, ბრაზს და სიძულვილს ძმათმოყვარებით უწამლოთ?

ყალბი და სინდისისგან თავისუფალი მონოლოგია თქვენი წიგნი, ბატონო ნაპოლეონ, და არაფერი აქვს საერთო იმ „ტკივილის“ მოშუშებასთან, რომლის ქონასა თუ არქონაშიც სხვას ადანაშაულებთ. წლების მანძილზე განზრახული და არძინბას ხელით განხორციელებული რუსული ანექსია, თურმე, ჩემი ბრალი ყოფილა... გრცხვენოდეთ!..

სხვა თუ არაფერი, ომგამოვლილის „კოდექსი“ რაღაცნაირად ყველას გვავალდებულებს, ვიყოთ ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლები, გულისხმიერები, ქველმოქმედები შეძლებისდაგვარად. და, რაც მთავარია, სამართლიანები... თქვენ კი, ყოვლად მიუღებელი ხრიკებით და ქვეადამიანური სიმდაბლით ებრძვით თქვენსავე კოლეგებს, იმის ნაცვლად, რომ მთელი შეგნებული აზროვნება და ჯანი მოახმაროთ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, ცხადია, ეროვნულ ერთიანობასთან ერთად და არა ცალ-ცალკე.

საკუთარ სიცრუეში ტკბობაც სირცხვილია, ბატონო ნაპოლეონ, ცრუ პატრიოტიზმიც და ეგოცენტრიზმიც. არც არაკორექტულობა და არაობიექტურობა გმატებათ ღირსებას!

ისე, ეს ექიმი კაცი თუ მაინცდამაინც წერას ჰყავხართ ატანილი, წარსულის ისტორიის გადაბეჭდვით ნუ მოცდებით, სჯობს თქვენი აზრები აფხაზეთის დაბრუნების კონცეფციაზე მუშაობას მოახმაროთ. არ ვიცი, რა კატეგორიის მკითხველისთვის იყო გათვლილი თქვენი „შედევრი“, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: ეს არ არის „ტკივილი“ (აფხაზეთის გამო), ეს უკვე თვისტომის ღალატია... ღალატს კი არსად შეიწყნარებენ — არც ენგურს გაღმა და არც გამოღმა.

ჩვენი ქვეყნის ისტორია მოწმობს - საქართველოს თუკი მარცხი უგემია თავისი არსებობის მანძილზე, მოძმის მტრობის, შურისა და ბოღმის მიზეზით ყოფილა. „არგამტანი და ცბიერი; მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი“ (ილია ჭავჭავაძე.) თვისტომის მოძულე და დაუნდობელი ქართველი (მთელი თავისი „სიმართლით“) არ შეიძლება აფხაზისთვის კარგი იყოს.....

ცხადია, ყოველივე ეს ჩემთვის ძალიან სამწუხარო და გულდასაწყვეტია. სამწუხაროა, რომ სხვა ეროვნების ადამიანები გაცილებით შემწყნარებლები არიან ქართველთა მიმართ, შენიანები კი ძირს გითხრიან, ზიანს გაყენებენ, გამცირებენ საკუთარი უძლურებისა გამო.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

საახალწლო ბაზრობაზე მსჯავრდებულთა ნამუშევრების გაყიდვა გრძელდება

მსჯავრდებულთა მიერ დამზადებული საახალწლო აქსესუარების გაყიდვა საახალწლო ბაზრობაზე უკვე რამდენიმე დღეა, გრძელდება. მოსახლეობის დაინტერესება მსჯავრდებულების ხელნაკეთი ნივთების მიმართ საკმაოდ მაღალია, რასაც გაყიდული ნივთების რაოდენობაც ადასტურებს.

მსჯავრდებულებმა საახალწლო აქსესუარები: თექის ბურთები, ძაღლები და ჩანთები, სხვადასხვა სახის სუვენირები სპეციალურად ბაზრობისთვის დაამზადეს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის ზვიად მიხანაშვილის თქმით, სამინისტროსთვის მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია პრიორიტეტულია და მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა სწორედ ამ მიზნით ხორციელდება.

,,დედა ენის“ ბაღში მოწყობილ საახალწლო ბაზრობაზე წარმოდგენილია მსჯავრდებულთა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნამუშევრები. ნივთების რეალიზაციას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო უზრუნველყოფს, ხოლო ნივთების გაყიდვიდან შემოსული თანხა მსჯავრდებულებს პირად ანგარიშზე დაერიცხებათ“, - აღნიშნა ზვიად მიხანაშვილმა.

საახალწლო ბაზრობა „დედა ენის“ ბაღში 24 დეკემბრს გაიხსნა და 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

ნინო გეგეჭკორი:

ჩემი ქმარი ლავრენტი ბერია

ოფიციალური ცნობით, 1953 წლის 23 დეკემბერს „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოსილი პოლიტიკური მოღვაწე მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორიაში ლავრენტი ბერია.

ლავრენტი და ნინო

დნეპრისპირა **დიდი ქალაქის გარეუბანში, მყუდრო, მწვანეში ჩაფლულ ქუჩაზე, „ხრუშჩოვკაში“ ცხოვრობს 86 წლის სანდომიანი, ცოცხალთვალება და მკვირცხლი გონების ქართველი მანდილოსანი. იგი უკვე დიდი ხანია, დაივიწყა თანამედროვეობამ.**

ოდინდელი სილამაზის კვალი ახლაც ატყვია. საოცარი მეხსიერება აქვს და შესანიშნავი ქართულით საუბრობს. საბჭოთა კავშირის ისტორიაში არასოდეს ასრულებდა რაიმე მნიშვნელოვან როლს, ვერც მაშინდელ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე ახდენდა გავლენას. არც საზღვარგარეთ მოგზაურობდა და კრემლში ოფიციალურ მიღებებსაც იშვიათად ესწრებოდა. და, მაინც, თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში იგი იყო საბჭოთა კავშირის უპირველესი ლედი, მეუღლე კაცისა, ვის სახელს დღესაც კი ერთგვარი შიშითა და კრძალვით ვახსენებთ — ლავრენტი ბერია!

ვუყურებ ამ სათნო მოხუცს და ძალიან მინდა გადავიხედო ორმოცდაათი წლის მიღმა, დავინახო ახალგაზრდა, ულამაზესი ძლევამოსილი ქალბატონი — ნინო გეგეჭკორი!

...ღარიბი კაცის ოჯახში დავიბადე. საერთოდ, იმ დროს, შეძლებული ოჯახები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნებოდა. დროც არეული იყო — რევოლუციები, პარტიები, შეხლა-შემოხლა. ბიძის, საშა გეგეჭკორის ოჯახში ვიზრდებოდი. ქუთაისში ვცხოვრობდით, სკოლაშიც იქ დავდიოდი. საშა რევოლუციური მოღვაწეობისთვის ციხეში იჯდა. მისი მეუღლე ხშირად დადიოდა ქმრის სანახავად. მე პატარა გოგო ვიყავი და ბიცოლას სულ უკან დავდევდი. ციხეშიც მივყვებოდი ხოლმე, მაინტერესებდა. სხვათა შორის, მაშინ პატიმრებს ურიგოდ არ ეპყრობოდნენ. ის ვაჟბატონიც მაშინ საშასთან ერთად ბრძანდებოდა ციხეში. მე მას არ ვიცნობდი, თვითონ კი, თურმე, დამიმახსოვრა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საშა თბილისში გადმოიყვანეს და, ბუნებრივია, მეც მათ ოჯახთან ერთად ჩამოვედი. უკვე მოზრდილი გოგო ვიყავი. ერთი წყვილი კარგი ფეხსაცმელი მქონდა, მაგრამ ბიცოლა ყოველდღე არ მაცმევდა, უფრთხილდებოდა. სასწავლებელში ძველებით დავდიოდი. ცენტრალურ ქუჩებს ვერიდებოდი, მრცხვენოდა. მახსოვს, საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო და ჩვენ, მოსწავლეებმა და სტუდენტებმა მის წინააღმდეგ დემონსტრაცია გავმართეთ. წყალი მოგვასხეს, სულ გავიწუწე და შინ გავიქეცი. იქ კიდევ ბიცოლა მეკითხება, რა მოხდაო. მეც ვუამბე. ამის გამო ერთი წამითაქა კიდეც — საშა გეგეჭკორის ოჯახში ცხოვრობ და თან საშა გეგეჭკორის წინააღმდეგ დემონსტრაციებში მონაწილეობო?!

ერთხელ სკოლის გზაზე დამხვდა ლავრენტი (გასაბჭოების შემდეგ ხშირად მოდიოდა საშასთან და მე მას უკვე ვიცნობდი). ჩამაცივდა, გინდა თუ არა, უნდა შევხვდეთ და ვილაპარაკოთო. დავთანხმდი. ნაძალადევში შევხვდით. იქ ჩემი უფროსი და და სიძე ცხოვრობდნენ და ამიტომ იმ უბანს კარგად ვიცნობდი. სკამზე ჩამოვჯექით. ლავრენტის შავი პალტო ეცვა და სტუდენტის ქუდი ეხურა. მითხრა, რომ დიდი ხანია, მაკვირდება, ძალიან მოვწონვარ... ჰო, ისიც მითხრა, რომ ვუყვარდი და უნდოდა ცოლად გავყოლოდი.

მაშინ თექვსმეტნახევარი წლისა ვიყავი. როგორც ამიხსნა, თურმე, საბჭოთა ხელისუფლება გზავნიდა ბელგიაში ნავთობის საკითხების შესასწავლად, ოღონდ, ერთი პირობით — ცოლი უნდა შეერთო. მითხრა, რომ მეც ხელს შემიწყობდა სწავლაში. დავფიქრდი და დავთანხმდი — სხვის ოჯახში ცხოვრებას ვარჩიე ამ კაცს გავყოლოდი და საკუთარი ოჯახი შემექმნა. იგი მაშინ ოცდაორი წლის იყო. არავისთვის მითქვამს, ისე გავყევი ცოლად. ალბათ, ამის გამო მერე გავრცელდა ჭორი, თითქოს ლავრენტიმ მომიტაცა. არა, ბატონო, საკუთარი ნებით გავყევი. თუმცა, ახლაც ასე არ არის? — გაყვება გოგო ბიჭს და მერე ამას დაარქმევენ მოტაცებას.

ერთ წელიწადს ბაქოში ვცხოვრობდით, მერე თბილისში დავბრუნდით. ოცდაოთხში შეგვეძინა ბიჭი, სერგო. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა ჯერ გადაიდო, მერე შეუძლებელი გახდა, რადგან ლავრენტი სახელმწიფო საქმეებში ჩაეფლო და აღარსად აღარ გააგზავნეს.

ღარიბად ვცხოვრობდით. მაშინ დრო იყო ასეთი, ადამიანურად ცხოვრება სირცხვილად ითვლებოდა, სიმდიდრეს ვებრძოდით. ოცდათერთმეტში ლავრენტი საქართველოს ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს. მანამდე ამ პოსტზე ქართველიშვილი მუშაობდა. უცნაური კაცი იყო. როგორც ჩანს, თანამდებობამ გაათამამა. ერთი რუსი თანამდებობის პირი იყო, ერშოვი, იმას წაართვა ქართველიშვილმა ცოლი. ის ქალი, მერე, როცა ქართველიშვილი მოხსნეს, სხვას გაჰყვა.

* * *

ლავრენტი **მუდამ უაღრესად დაკავებული იყო. დრო ოჯახისთვის თითქმის არ რჩებოდა. ძალიან ბევრს შრომობდა. ახლა ადვილია კრიტიკა, მაგრამ მაშინ მართლა ბრძოლა იყო — საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გაემარჯვა. ხომ გახსოვთ, რას წერდა სტალინი სოციალიზმის მტრების შესახებ. ის მტრები რეალურად არსებობდნენ. ახლა ყველა ბუღალტერს შეუძლია ადგეს და რამდენიც უნდა, აკრიტიკოს სტალინი. მე ვიცნობდი ამ კაცს, თავის დროზე მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთთან. მართალია, იგი ძალიან მკაცრი, სასტიკიც კი იყო, მაგრამ ვინ იტყვის, რომ იმ პერიოდში სისასტიკე საჭირო არ იყო? სტალინს უნდოდა, შეექმნა დიდი და ძლიერი სახელმწიფო და მან ეს შექმნა შთამომავლობისთვის. მართალია, ამას ბევრი ადამიანი შეეწირა, მაგრამ სად იყო, რატომ ვერავინ დაინახა სხვა გზა, რომელიც უმტკივნეულოდ მიგვიყვანდა მიზნამდე? მერე სვეტამაც (სვეტლანა ალილუევა, სტალინის ქალიშვილი, თ. ქ). დაწერა, მამაჩემი სასტიკად მეპყრობოდაო. სვეტა ჩემს თვალწინ გაიზარდა. ძალიან ნიჭიერი და მიზანდასახული ადამიანი იყო, საყვარელი ბავშვი. ძალიან უყვარდა მამამისს. ჰოდა, ეს საყვარელი ქალიშვილი ერთ მშვენიერ დღეს უცხადებს მამას, რომ შეუყვარდა მასზე 23 წლით უფროსი ებრაელი რეჟისორი კაპლერი და აპირებს ცოლად გაჰყვეს. თქვენ როგორ მოიქცევით, თქვენმა თექვსმეტი წლის ქალიშვილმა საკითხი ასე რომ დაგისვათ? მამამ ერთი სილა გააწნა თავის ქალიშვილს. კაპლერმა კი ის მიიღო, რისი ღირსიც იყო — მას არ ჰყვარებია სვეტა, უნდოდა სტალინის ოჯახში შემძვრალიყო და დარწმუნებული ვარ, ამაში მას რაღაც ძლიერი ორგანიზაცია უმაგრებდა ზურგს.**

ახლა სტალინზე ათასგვარ ზღაპარს ჰყვებიან. იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. თავისი სისუსტეებიც ჰქონდა. შვილებს ყურადღებას არ აქცევდაო — როგორ არ აქცევდა, მაგრამ იგი შვილებს არ აქცევდა ზედმეტ ყურადღებას. მიაჩნდა, რომ მათ თვითონ, დამოუკიდებლად უნდა ეპოვათ ცხოვრების გზა. თუნდაც იაშას, სტალინის უფროსი ვაჟის ცხოვრება არის ამის მაგალითი.

მოსკოვში გადავედით 1938 წლის დამლევს. ამ დროს ოცდაჩვიდმეტის რეპრესიები უკვე ჩავლილი იყო. როცა ჩემი ქმრის შესახებ წერენ, ამ გარემოებას არ ითვალისწინებენ. ასე უმჯობესია — არის კაცი, ვისაც შეიძლება ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დასდო ბრალი. დარწმუნებული ვარ, ოდესღაც დაიწერება ობიექტური ისტორია, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. მე ვერ მოვესწრები ამას, მაგრამ თქვენ ხომ აუცილებლად მოესწრებით, ჯერ ახალგაზრდა ხართ. რა შეიძლება იცოდეს, მაგალითად, ანასტას მიქოიანის შვილმა, ასე თავგამოდებით რომ ამტკიცებს რაღაც აბსურდებს? — არაფერი, მაგრამ, მაინც წერს, ალბათ, თავის გამოჩენის მიზნით.

ეს არ არის წესიერი საქციელი! ლავრენტის ბრალი დასდეს ვანო სტურუას ოჯახის ტრაგედიაში. ეს არის უდიდესი ცილისწამება... იცით, მაშინ მოქმედებდა ისეთი მანქანა, რომლის შეჩერება ან მიმართულების შეცვლა არავის შეეძლო. არც ლავრენტის. ქართული გაზეთები მაქვს გამოწერილი: „ლიტერატურული საქართველო“, „სამშობლო“ და „თბილისი“, საღამოს გაზეთი. ჟურნალებიც მომდის. მობრძანდით, „ცისკარი“ უნდა გაჩვენოთ. აქ არის დასტამბული გაბრიელ ჯაბუშანურის პოემა, რომელიც, თურმე, სტალინის სიცოცხლეში ყოფილა დაწერილი და ახლა დაიბეჭდა. შეიძლება, რა თქმა უნდა, არ გიყვარდეს კაცი, მაგრამ მასზე ასეთი ტონით წერა არ შეიძლება. თუნდაც ყველაფერი ის, რასაც ამბობენ, მართალი იყოს, ქართველს მაინც არ შეეფერება სტალინის ასე ლანძღვა — ასეა თუ ისე, იგი მაინც ქართველი იყო. თუ გასალანძღია, გალანძღოს სხვამ, ჩვენ ნუ გამოვიჩენთ ინიციატივას...

მე არასოდეს ჩავრეულვარ ჩემი ქმრის სამსახურებრივ საქმეებში. მაშინდელი მოღვაწეები ცოლებს არ ანებივრებდნენ ისე, დღეს რომ ანებივრებენ. ამიტომ ჩემთვის შეუძლებელია ლავრენტის საქმეებზე ლაპარაკი. ის, რაც მას ოფიციალურად დასდეს ბრალად, სახელმწიფოს ღალატი, უბრალოდ, დემაგოგიაა — რაღაც ხომ უნდა დაებრალებინათ. ეშინოდათ, სტალინის შემდეგ ბერიას არ დაეჭირა მისი ადგილი. მე ვიცნობდი ჩემი ქმრის ხასიათს და დარწმუნებული ვარ, მას ეყოფოდა გონიერება და არ დაიჩემებდა პირველობას. იგი პრაქტიკული ჭკუის კაცი იყო და იცოდა, რომ სტალინის შემდეგ ისევ ქართველი კაცის სახელმწიფოს სათავეში მისვლა გამორიცხული იყო. ამიტომ, ალბათ, იგი ხელს შეუწყობდა მისთვის სასურველ პიროვნებას, მაგალითად, მალენკოვს.

...ორმოცდაცამეტის ივნისში ჩვენ (მე და ჩემი შვილი სერგო) მოულოდნელად დაგვაპატიმრეს და სხვადასხვა ციხეში ჩაგვკეტეს. თავიდან ვფიქრობდით, რომ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, უფრო სწორედ, რაღაც კონტრრევოლუციის მაგვარი და სათავეში მოვიდა ანტიკომუნისტური ძალა.

მე „ბუტირკაში“ ვიყავი. ყოველდღე მოდიოდა გამომძიებელი, რომელიც მოითხოვდა ჩვენებებს ჩემი ქმრის წინააღმდეგ. მეუბნებოდა, რომ „ხალხი აღშფოთებული იყო ლავრენტის საქციელით“. მე მას განვუცხადე, რომ არავითარ ჩვენებას არ მივცემდი, არც კარგს და არც ცუდს. მერე აღარ შევუწუხებივარ. წელიწადზე მეტხანს ვიყავი ციხეში. ბრალდებები? როგორ არა, წამომიყენეს, მაგრამ ნუ გაიცინებთ, ეს სავსებით სერიოზულად იყო ნათქვამი — ბრალი მედებოდა ერთი კასრი წითელი მიწის ჩამოტანაში რუსეთის არაშავმიწიანი ზონიდან მოსკოვში. საქმე ის გახლავთ, რომ მე ვმუშაობდი სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, ვიკვლევდი ნიადაგის შემადგენლობას. ჩემი თხოვნით, ოდესღაც მართლა ჩამომიტანეს ერთი კასრი წითელი მიწა. იგი თურმე, ჩამოუტანიათ თვითმფრინავით. ესე იგი, სახელმწიფოს ტრანსპორტი გამოიყენეს კერძო მიზნებისთვის. მეორე ბრალდება გახლდათ დაქირავებული შრომის გამოყენება — თბილისში ცხოვრობდა ცნობილი მკერავი, ვინმე „საშა პარტნიორი“. სწორედ ეს „საშა პარტნიორი“ ჩამოსულა ჩემთან მოსკოვში, შეუკერია კაბა და მე მისთვის გადამიხდია შესაბამისი გასამრჯელო. ალბათ, ასეც იყო. ახლა ზუსტად არ მახსოვს, როდის იყო ჩემთან თბილისელი მკერავი, მაგრამ ნამდვილად იქნებოდა. ოღონდ, თუ ეს დანაშაულია, ახლაც არ ვიცი.

ლავრენტი ბერიას ოჯახი

ჩემი ყურით მომისმენია, როგორ ყვებოდნენ, თითქოს ქუთაისიდან გურიამდე ვიმგზავრე ოქროს ეჟვნებიანი ცხენით. ცხენით მართლაც ვიმგზავრე ოდესღაც, მაგრამ ოქროს მოსართავებიანი ნამდვილად არ ყოფილა. ხომ იცით, ადამიანებს ძალიან უყვართ არარსებულის გამოგონება და მერე იმის სინამდვილედ წარმოჩენა...

ციხეში მოვიდა ერთი ჩემი „კეთილისმყოფელი“ და დამარიგა, ასეთ პირობებში ყოფნას გიჯობს განცხადება დაწერო და საავადმყოფოში გადაგიყვანთო. მართლაც ძალზე მძიმე პირობებში ვიყავი. „ოდინოჩკა“ კარცერი ხომ გაგიგონიათ, სწორედ იქ. იმ საკანში არც დაწოლა შეიძლებოდა, არც დაჯდომა. ასე ვიყავი ერთ წელიწადზე მეტხანს. საავადმყოფოზე უარი განვაცხადე, რადგან ზედამხედველმა მიჩურჩულა, თქვენზე ამბობენ, გაგიჟდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებაო.

ერთ დღეს გამომძიებელმა მამცნო, შვიდას სამოცმა ქალმა აღიარა, ბერიას საყვარლები ვართო! საოცარია, პირდაპირ — ლავრენტი დღეს და ღამეს შრომაში ასწორებდა და როდისღა მოასწრო, ნეტავ, ქალთა ამ ლეგიონის საყვარლებად გადაქცევა?! სხვა ამბავია აქ — ომის დროს და მერეც იგი ხელმძღვანელობდა დაზვერვას და კონტრდაზვერვას. ეს ქალები კი იყვნენ მისი ინფორმატორები, რომლებსაც მხოლოდ ლავრენტისთან ჰქონდათ უშუალო კავშირი. ლავრენტის ფენომენური მეხსიერება ჰქონდა და ეს სამსახურებრივი ურ-

თიერთობანი ამ ქალებთან (ალბათ, სხვებთანაც) ინახებოდა მის გონებაში. ხოლო, როცა ამ თანამშრომლებს შეფთან ურთიერთობის შესახებ ჰკითხეს, ბუნებრივია, ყველამ თქვა, საყვარელი ვიყავიო. აბა, აგენტობას ხომ არ დაიბრალებდნენ?!

ერთი წლის შემდეგ მე და სერგო პირუტყვის გადასაყვან მატარებელში ჩაგვსხეს და სვერდლოვსკში ჩაგვიყვანეს. იქ ხუთასი მანეთი (ახლანდელი ორმოცდაათი) მოგვცეს და... გაგვიშვეს. ძალიან გვიჭირდა უბინაოდ, უსახსროდ, უმუშევრად. მერე, როგორც იქნა, სერგომ ტექნიკოსის თანამდებობა იშოვა (ციხიდან გამოსვლისას ზეინკალ-ტექნიკოსის დიპლომი მისცეს) და მუშაობა დაიწყო. სხვათა შორის, სერგო დაპატიმრების მომენტში ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი იყო. მე არ ვამტკიცებ, რომ იგი რაღაც არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცია, მაგრამ იგი არის ნამდვილად ძალზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანი. ასეთი იყო მუდამ. ამის გარდა, რა დასამალია, მას საშუალება ჰქონდა ესწავლა, კონსულტაციები მიეღო საუკეთესო სპეციალისტებისაგან, ბოლოს და ბოლოს, შეერჩია ის სპეციალობა, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდა. დაპატიმრების შემდეგ მას ჩამოართვეს ხარისხები და, როგორც გითხარით, ტექნიკოსის მოწმობა მისცეს. მერე, ჩემი დაჟინებული თხოვნით, თავიდან დაიწყო ყველაფერი და ახლა, მადლობა ღმერთს, ბედს არ ვემდურით — კარგი სამსახური აქვს, მაღალი ხელფასი, დაფასება.

სვერდლოვსკის გადასახლება რამდენიმე წლის შემდეგ შეგვიცვალეს და უფლება მოგვცეს, გვეცხოვრა საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქალაქში მოსკოვის გარდა. ბუნებრივია, მე საქართველოში ჩამოსვლა ვინდომე. ჩამოვედი კიდეც. ჩემს მშობლიურ მარტვილს მივაშურე. იქაურ რაიკომის მდივანს მივაკითხე და ვთხოვე, ორიოდე გოჯი მიწა გამოეყო ჩემთვის. იმედი მქონდა, კეთილი ხალხის დახმარებით პატარა სახლს ჩავდგამდი, იქ ვიცხოვრებდი და იქვე დავიმარხებოდი. არ გამართლდა ჩემი მოლოდინი. მალე ქუთაისიდან ჩამოვიდა ორგანოს ორი თანამშრომელი და „ძალზე თავაზიანად“ გამისტუმრეს უკან, რუსეთში.

მას შემდეგ აქა ვარ და საქართველოს ნატვრაში ამომდის სული. თვალყურს ვადევნებ ყველაფერს, რაც საქართველოში ხდება. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, ვინც თავისი სამშობლოს კეთილდღეობისთვის იბრძოლებს. ადამიანი მხოლოდ თავისი სამშობლოსთვის უნდა ზრუნავდეს. სხვა ერი არასოდეს დაგიფასებს სამსახურს. ავიღოთ, თუნდაც სტალინი, ორჯონიკიძე, ჩხეიძე, წერეთელი, გეგეჭკორი, ბერია და ბევრი სხვა. იმათ მართლაც სწამდათ, რომ იბრძოდნენ რაღაც დიადი მიზნისთვის, კაცობრიობისთვის. რა გამოვიდა მერე აქედან? — თავის ერს, სამშობლოს ვერც ერთი ვერ გამოადგა, იმ მეორე ერმა კი არ მიიღო მათი სამსახური. ეს ხალხი უსამშობლოდ გადაეგო. ასე მოუვა ყველას, ვინც თავისი ერის ინტერესებს სხვას ანაცვალებს. ეს უნდა გაითვალისწინონ ახლანდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც...

თუ არ დამზარდებით, ერთ პატარა ბარათს გაგატანთ ჩემს ახლობელთან თბილისში.

„ჩემო თამარ, ვარ ცოცხალი, მაგრამ, ვაი, ასეთ სიცოცხლეს. უკვე 90 წელს მიახლოებული, ვარ ჩავარდნილი ლოგინში და დაუხმარებლად ჩემს ოთახშიც ვერ დავდივარ. მაინც მესმის, რომ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. უცვლელია მხოლოდ ჩემი სიყვარული საქართველოსადმი და ყველა თქვენდამი. იყავით სულ კარგად და ბედნიერად. ნინო გეგეჭკორი. 09. VII. 90.“

ქალბატონმა ნინო გეგეჭკორმა სიტყვა „უცვლელია“ დიდი ასოებით დაწერა და ქვეშ ორი სქელი ხაზი გაუსვა.

თეიმურაზ ქორიძე

P. S. მაშინ, როცა ეს წერილი გაზეთ „7 დღეში“ გამოვაქვეყნე (1990 წლის ივლისი), ამის გამხელის უფლება არ მქონდა, მაგრამ ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ის „დიდი დნეპრისპირა ქალაქი“ კიევია. და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — კიევში ბიძაშვილთან, ცირა ქორიძესთან ერთად ჩავედი. დეიდა ნინო სიამოვნებით დასთანხმდა ცირასთან შეხვედრას, მაგრამ ჩემს მიღებაზე უარი განაცხადა. მერე საქმეში სერგო ჩაერია და საბოლოოდ შეხვედრა გაიმართა. კიევში ერთ კვირაზე მეტხანს დავრჩი. წამოსვლისას დეიდა ნინოს ვკითხე, ჩემთან შეხვედრაზე უარი რატომ თქვი-მეთქი? თითქოს დაიმორცხვა, ეშმაკურად შემომხედა, მერე თავი დახარა და... - არ მინდოდა, ასე დაუძლურებული ვინმე მამაკაცს ვენახეო.

ახლა, თუ არ დამძრახავთ, ცოტას წავიტრაბახებ. დეიდა ნინოსთვის არ მითქვამს, რომ ჟურნალისტი ვიყავი. რამდენიმე დღის მერე ისე, სიტყვას მოვაყოლე და ვუთხარი, რამე საწინააღმდეგო ხომ არ ექნებოდა, მისი საუბარი გაზეთში რომ გამომექვეყნებინა. — არაო, თქვა, — ერთადერთი ჟურნალისტი, ვისაც ინტერვიუზე დავთანხმდებოდი, „თბილისის“ კორესპონდენტი თეიმურაზ ქორიძეაო. ეტყობა, ვერ წარმოიდგინა, რომ მასთან სტუმრად მისული დის შვილიშვილი და ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე ერთი და იგივე ადამიანი იყო. მეც არაფერი მითქვამს. წერილის გამოქვეყნების შემდეგ კიევიდან დამირეკა, მადლობა გადამიხადა და ჩემი პატარა ქალიშვილისთვის სიმბოლური საჩუქარიც გამომიგზავნა.

დეიდა ნინო ჩვენი შეხვედრიდან ორიოდე თვის შემდეგ გარდაიცვალა 86 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში, „ზღვის სასაფლაოზე“.

თ. ქ.

◎ ისტორიის სვეტი

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1994 წლის 11 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის განკარგულების შესაბამისად რუსეთის ჯარი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შევიდა: დაიწყო ჩეჩნეთის პირველი ომი.

1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ატის დეკლარაციით, გაუქმდა საბჭოთა კავშირი. საბოლოოდ კი, ფორმალურად, სსრ კავშირი 26 დეკემბერს უზენაესი საბჭოს სხდომაზე დაიშალა.

ალმა-ატაში რუსეთის იმპერია ახალი სახელით გაფორმდა: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მის შემადგენლობაში არ შევიდნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო, საქართველო დსთ-დან 2009 წლის 18 აგვისტოს გამოვიდა. საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს დაარსდა.

1917 წლის 22 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება საბჭოთა ხელისუფლებასა და ოთხთა კავშირის სახელმწიფოების — გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის წარმომადგენელთა შორის.



1939 წლის 23 დეკემბერს გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა გერმანიის რაიხსკანცლერის ადოლფ ჰიტლერის ტელეგრამა იოსებ სტალინისადმი: „თქვენს 60 წლისთავზე გთხოვთ მიიღოთ ჩემი ყველაზე გულითადი მოლოცვა. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს...“ წლინახევრის შემდეგ ეს კაცი თავს დაესხა სსსრ კავშირს.

1929 წლის 27 დეკემბერს სტალინმა ე.წ. აგრარიკოს მარქსისტთა კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა ერთიანი კოლექტივიზაციის დაწყების, მასობრივი განკულაკებისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ.

1810 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავარსარდალმა ალექსანდრ ტორმასოვმა რუსეთის იმპერატორის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ქართველები ღალატისა და საზღვარგარეთ გაქცევისთვის გაესამართლებინათ არა ჩვეულებრივ, არამედ სამხედრო სასამართლოზე. ეს ნიშნავდა, რომ ქართველებს რუსი სამხედროები გაასამართლებდნენ.

1818 წლის 28 დეკემბერს სინოდის მოხსენების საფუძველზე გამოიცა იმპერატორ ალექსანდრ I-ის ბრძანება, რომლის მიხედვითაც იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში 9 ეპარქიის ნაცვლად, 3 ეპარქია უნდა დარჩენილიყო, ხოლო იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებიდან შესული საეკლესიო გადასახადები უნდა გაერთიანებულიყო ქართლისა და კახეთის ეპარქიებიდან შესულ გადასახადებთან.

1937 წლის 29 დეკემბერს — „ანტიკულაკური“, „ანტიპოლონური“, „ანტიგერმანული“ და „ხარბინის ოპერაციის“ ჩატარების შესახებ შინსახკომის ბრძანებათა ჩარჩოებში მოსკოვში დახვრიტეს 246 კაცი. იმავე დღეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ნიკოლაი ეჟოვმა და სსრ კავშირის პროკურორმა ანდრეი ვიშინსკიმ დახვრეტა მიუსაჯეს 992 კაცს.

1820 წლის 31 დეკემბერს ხელისუფლებამ გურიის მთავარს მამია გურიელს ოფიციალურად აცნობა, რომ გურიის 1820 წლის აპრილ-აგვისტოს აჯანყების მონაწილე თავადაზნაურობას მამულები და ყმები ჩამოერთვა და რუსეთის ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა.

◎ ღირსსახსოვარი დღე

ნიკანორს კეთილების მოკითხვა წაადგა

არის დღეები, რომლებიც მყარად ჯდება მახსოვრობაში და ისტორიის ნაწილი ხდება. ჭეშმარიტად ღირსსახსოვარი იყო ახლახან პარლამენტში მთავრობის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება.

იმ დღეს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ნაციონალი ნიკანორ მელია გამოედო ბირკასავით და არ მოუსვენა. ეს თავკარალიოკა კაცი ისედაც ცნობილია უზრდელობით და ახლა სულ გაიგიჟა თავი — ძაღლის ყბა გამოიბა, ლანძღა და აქილიკა, ტელეეკრანებს მიციებულ თავის ტუტუც მხარდამჭერებს აწონებდა თავს, ვითომ, შემხედეთ რა საიმედო ლიდერი ვარ, როგორ ვუტლიკინებ ენას, რეებს ვუბედავ პრემიერსო.

მუდამ დინჯმა და აუღელვებელმა კვირიკაშვილმა კარგა ხანს ითმინა, ითმინა და ბოლოს მაინც გაუწყდა მოთმინების ძაფი. შენ მოგიტ...ავ კეთილებსო, კახურად აჯახა, ვითარცა სულტან რუქნადინის საგანგებო მოციქულს.ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა „უხეთქა ხელითა პირსა“ და მკვდარივით გაშხლართა ძირს.

ეს გინება ჭეშმარიტად ზაქარიასეული სილაქი იყო. და მოხდა სასწაული: მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა მელიას ერთობ შთამბეჭდავად მოუკითხა კეთილები, ნიკანორიც ჩაშუშდა და მისი უწესობით აფორიაქებული ქვეყანაც.

შეიძლება, ეს სიმშვიდე დროებითი და მოჩვენებითია, მატყუარაა, მაგრამ ასეა თუ ისე, ყურებმა კი ერთი ხანია, ნამდვილად დაისვენა.

თან გენიალური აღმოჩენა გაკეთდა: როგორც ჩანს ნიკანორს უდავოდ უხდება კეთილების მოკითხვა და რაც უფრო ხშირად მოხდება ეს, არა მარტო მისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის უკეთესია. ვინ იცის, იქნებ თმაც კი ამოუქუჩქუჩდეს.

ჰოდა, პარლამენტის ის ფათერაკიანი დღე სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

სანდრო ალექსიძე

თანახმა ვართ, ყველაფერზე წავიდეთ, ოღონდ ბუტა რობაქიძის საქმე გამოიძიონ!

თბილისის საქალაქო სასამართლოში ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე, შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმის განხილვა დასრულდა.

აღნიშნულ საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ზურაბ მიქაძის განცხადებით, ის მზადაა, ყველაფერზე წავიდეს, ოღონდ საქმე სრულყოფილად გამოიძინონ.

„მოწმემ ჩხრეკის ოქმების ნამდვილობა დაადასტურა და აღნიშნა, რომ ხელმოწერა მისი იყო. მან თქვა, რომ დაკავებულებისგან საბრძოლო და ფეთქებადი ნივთიერება პირადად ამოიღო და განაცხადა, რომ ამაზე დაკავებულებს არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ.

საქმის პროკურორის გიორგი ოსაძის თქმით კი, მოწმე ზაზა ადანაიამ სასამართლოს წინაშე დაადასტურა, რომ, როცა ის შემთხვევის ადგილზე მივიდა, პირები უკვე დაკავებულები იყვნენ.

„მათ ხელბორკილები ედოთ და მხოლოდ ამის შემდეგ, მესამე განყოფილების უფროსის მითითებით, უკვე დაკავებულ პირებს ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. მოწმეს პროცესზე წარედგინა დაკავების ოქმი, მან კატეგორიულად უარყო საგამოძიებო მოქმედების დოკუმენტზე თავისი ხელმოწერა და განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე, გარდა პირადი ჩხრეკის ოქმისა, სხვა რამეზე ხელი არ მოუწერია და ამდენად, დაკავების ოქმზე არსებული მისი ხელმოწერა მას არ ეკუთვნის“, — განაცხადა პროკურორმა.

„ლიბერთი-ქართუ“ – კიდევ ერთი დიდი გაერთიანება საბანკო სექტორში

ჯერ არც უარყოფენ და არც ადასტურებენ

საბანკო და საფინანსო წრეებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ქართუ ბანკს“ „ლიბერთი ბანკი“ ყიდულობს. თუკი გარიგება განხორციელდა, ეს იქნება მეორე დიდი გაერთიანება საბანკო სექტორში. ერთი წლის წინათ „თიბისიმ“ ბანკი „რესპუბლიკა“ შეიძინა. ამის შედეგად „თიბისი“ საფინანსო ბაზრის ლიდერად იქცა, ხოლო „ლიბერთისა“ და „ქართუს“ შერწყმის შედეგად წარმოქმნილი კონგლომერატი მყარად დაიკავებს მესამე პოზიციას და სამომავლოდ მკვეთრად დაწინაურებულ ორ ლიდერს ჩაუდგება კვალში.

„ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორი ნატო ხაინდრავა ორი ბანკის შერწყმასთან დაკავშირებით ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. ხაინდრავა ჟურნალისტებს ბანკის ბენეფიციარ მფლობელთან ამისამართებს.

„აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა მხოლოდ ბენეფიციარ მფლობელს შეუძლია“, – აცხადებს ნატო ხაინდრავა.

„ქართუ ბანკის“ ოფიციალური წილის მფლობელი უტა ივანიშვილია. ორგანიზაციის მართვის სადავეები კი ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს უპყრია ხელთ.

ორი ბანკის გაერთიანებას არ ადასტურებენ „ლიბერთი ბანკში“. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არც საქართველოს ეროვნულ ბანკში აქვთ. როგორც სებ-ში აცხადებენ, არც წინასწარი კონსულტაციები და არც ოფიციალური მიმართვა გარიგების თაობაზე ეროვნულ ბანკში არ შესულა. შესაბამისად, ოფიციალურ დონეზე ჯერჯერობით რამე ნაბიჯები არ გადადგმულა.

„ლიბერთი ბანკში“ ბოლო დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2017 წლის ოქტომბერში „ლიბერთის“ 74.64%-ის მფლობელი ნიდერლანდების სამეფოში დაარსებული კომპანია EUROPEAN FINANCIAL GROUP B.V. შეიქმნა.

ამ გარიგების შედეგად ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრეები გახდნენ ირაკლი რუხაძე (აშშ-ის მოქალაქე), ბენ მარსონი (გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე) და იგორ ალექსეევი (აშშ-ის მოქალაქე).

„ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი გიორგი კალანდარიშვილი გახდა. ამ თანამდებობაზე მან ალექსეი ხორაშვილი შეცვალა. კალანდარიშვილი გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან დაახლოებული პირია. თავის დროზე ის პატარკაციშვილის „სტანდარტ ბანკის“ გენერალური დირექტორი და ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორი იყო.

„ლიბერთი ბანკი“ ყოფილი საბჭოთა სახელმწიფო კომერციული ბანკის „აგრომრეწვბანკის“ ბაზაზეა შექმნილი. 1993 წელს ბანკების განკერძოებისას „აგრომრეწვბანკი“ იქცა „აგრობანკად“. შემდგომ პერიოდში ბანკს ერქვა „სახალხო ბანკი“, ხოლო 2009 წელს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ლადო გურგენიძის მისვლის შემდეგ სახელი კიდევ ერთხელ გადაერქვა და „ლიბერთი ბანკი“ ეწოდა.

განახლებულ „ლიბერთის“ დიდი გეგმები აქვს. უახლოეს მომავალში მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საბანკო სექტორში მესამე პოზიციის მყარად დაკავება.

რაც შეეხება „ქართუ ბანკს“, რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი, წევრები კი ბესიკ დემეტრაშვილი და ეთერ დემინაშვილი არიან. ამასთან, ბანკის გენერალური დირექტორის პოსტს ნატო ხაინდრავა იკავებს. მისი 100%-იანი წილის მფლობელი კი უტა ივანიშვილია.

გეძა დანელია

ქურდი არასრულწლოვანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე- საბურთალოს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ქურდობის ფაქტებზე 27-ჯერ მხილებული, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 2003 წელს დაბადებული ს.ს. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულ არასრულწლოვანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მაღაზია გაქურდა. სამართალდამცველებმა მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ს.ს.-მ მის მიერ იმავე დღეს ჩადენილი ორი მაღაზიის გაქურდვის ფაქტიც აღიარა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული თ.ქ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 340 აბი და 237 ნატეხი, ასევე, 3,2 გრამი „სუბუტექსის“ ფხვნილი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

კალიფორნიაში მარიხუანის მომხმარებელი ფეხმძიმე ქალების რაოდენობა გაიზარდა

მსუბუქ ნარკოტიკს დღეისათვის ფეხმძიმე ქალების 22 პროცენტი მოიხმარს, მაშინ, როცა გასულ წლებში ეს მაჩვენებელი 12,5 პროცენტს არ აღემატებოდა. მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა კალიფორნიაში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზებამ განაპირობა. მარიხუანის პირველი მაღაზიები კალიფორნიაში წელს გაიხსნა.

ლიბერიის პრეზიდენტი მილანის ყოფილი ფეხბურთელი გახდა

ჩელსის, მონაკოს, მაჩესტერ სიტისა და მილანის ყოფილმა ფორვარდმა ჯორჯ ვეამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურშიც გაიმარჯვა. ვეას წარმატებული საფეხბურთო კარიერა ჰქონდა. 1995 წელს ის ოქროს ბურთის მფლობელი გახდა. ამჟამად ვეა 51 წლისაა.

უკრაინელები წლის პოლიტიკოსებად პოროშენკოსა და სააკაშვილს ასახელებენ

გამოკითხვა უკრაინის სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩაატარა. წლის პოლიტიკოსად უკრაინის პრეზიდენტი რესპონდენტთა 10-მა, ოდესის ყოფილი გუბერნატორი კი 7-მა პროცენტმა დაასახელა. ამავე გამოკითხვით, რესპონდენტთა 40 პროცენტი პოროშენკოს გადადგომის მომხრეა.

პრინცმა ჰარიმ ბარაკ ობამასგან ინტერვიუ აიღო

ბარაკ ობამამ თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგ პირველი ინტერვიუ მისცა. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტისგან ინტერვიუ ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ აიღო. ინტერვიუში ობამა აცხადებს, რომ სოციალური ქსელების გამოყენებისას პოლიტიკურ ლიდერებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ, თუმცა ტრამპის სახელს არ ახსენებს. ინტერვიუ, სავარაუდოდ, სექტემბერში რადიო ბიბისის მეოთხე არხისთვის არის ჩაწერილი.

ამერიკის პირველმა ლედიმ თეთრი სახლის ეზოში 200-წლოვანი მაგნოლიის მოჭრა მოითხოვა

ხე თეთრი სახლის ეზოში 1828 წელს პრეზიდენტმა ენდრიუ ჯეკსონმა დარგო. როგორც სპეციალური კომისია იტყობინება, ხე ლპება და უსიამოვნო სუნი ასდის. მაგნოლიას, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე მოჭრიან.

◎ **რას გვერჩის დედაბუნება?**

ქარიშხლები ალერსიანი სახელებით

განვლილი წლის არც ერთი კვირა არ ყოფილა, რომ დედამიწის რომელიმე კუთხეს რაიმე სტიქიური მოვლენა – ქარიშხალი, წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ. – არ დატყდომოდა თავს, რის შედეგად უამრავი ადამიანი დაიღუპა, ცალკეულ რაიონებსა და მთელ რეგიონებსაც კი უდიდესი ზარალი მიადგა.

შვეიცარიული უდიდესი გადამზღვევი კომპანიის Swiss Re-ს მიერ გამოქვეყნებული ცნობით, 2017 წელს სტიქიური კატასტროფების შედეგად სხვადასხვა ქვეყნის ინფრასტრუქტურებისთვის მიყენებულმა ზარალმა 306 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ყველაზე მეტი მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი უძლიერესმა ქარიშხლებმა „ჰარვიმ“, „ირმამ“ და „მარიამმა“ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუტანა, რომლის მსგავსი დარტყმა მას 2005 წელს ქარიშხალმა „კატერინამ“ მიაყენა. გარდა ამისა, ქვეყანას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა კალიფორნიის შტატის ტერიტორიაზე მძვინვარე ტყის ხანძრების სალიკვიდაციოდ, რომლებმაც მთლიანად 5,5 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტ ფართობზე მწვანე ნარგავები გაანადგურა.

თუკი 21-ე საუკუნის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სტიქიის შემოტევების ისტორიას გადავავლებთ თვალს, კაცობრიობას მეტი უბედურებაც გადაუტანია. ამ მხრივ, ყველაზე მძიმე შედეგი 2011 წელს იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად წარმოშობილ ცუნამს მოჰყვა, ოდნავ უფრო „შაღავათიანი“ იყო 2005 წელს მძვინვარე ქარიშხლებით „კატრანათი“, „რიტათი“ და „უილიამსით“ მიყენებული ზარალი.

ისიცაა, რომ წლევანდელი ბუნებრივი კატაკლიზმების ნუსხა ქარიშხლებითა და ტყის ხანძრებით არ შემოიფარგლება: აზიის რიგ ქვეყანაში, რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მხარეში მოვარდნილ წყალს 1500-ზე მეტი კაცის სიცოცხლე შეეწირა, განადგურდა უამრავი დასახლებული პუნქტი და ნარგავ-ნათესი, მექსიკაში მომხდარ ორ მიწისძვრას, ინფრასტრუქტურისა და საცხოვრისების ნგრევასთან ერთად, ასზე მეტი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ წლეულს ზაფხულში ბორჯომის ხეობაში ათას ჰექტარზე ტყის ხანძარს 2 მილიონზე მეტი წიწვიანი ხე შეეწირა...

მთლიანად კი, სტიქიური უბედურებების დროს, წლეულს მსოფლიოში თითქმის დაახლოებით 10 ათასი კაცი დაიღუპა, რომელთა ნაწილი დღევანდლამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ამ სავალალო ციფრებს კიდევ ადამიანთა სხვადასხვა სახეობის დაუდევრობით, ასევე ავტოსაგზაო შემთხვევათა დროს დაღუპულებსაც თუ მივამატებთ, უდროოდ დაღუპულთა ოდენობა ათი ათასეულზე გაცილებით მეტი იქნება.

დალი ხუნდაძე

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ საწვავის რაოდენობასა და საწვავის ტიპზე:

#	საწვავის დასახელება	რაოდენობა *(ლიტრი)*
	1	2
1	ბენზინი პრემიუმი (ოქტანობა - არანაკლებ 95)	24000
2	დიზელი (არაუმეტეს 50 PPM)	36000

● საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურებზე წარდგენილი სათანადო პლასტიკური ბარათების მეშვეობით.

● საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ტენდერის გახსნის დღეს (2018 წლის 15 იანვარი) „პრეტენდენტის“ საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ ერთი ლიტრი საწვავის ფასზე შემოთავაზებული ფასდაკლების გათვალისწინებით. შეფასება განხორციელდება ჯამური ღირებულებების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გასაყიდი საწვავის ერთი ლიტრის ფასი განსაზღვრული იქნება შესაბამისი საწვავისთვის 2018 წლის განმავლობაში საწვავის შეკვეთის მომენტისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში ანალოგიურ პროდუქტზე არსებული ერთეულის (ერთი ლიტრი საწვავის) ფასს გამოკლებული შემოთავაზებული ფასდაკლება. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება იქნება 140,000.00 (ას ორმოცი ათასი) ლარი.

● საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა თანმდევი ხარჯის გათვალისწინებით, მათ შორის: დ.დ.გ.-ს, საწვავის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების, ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის მიწოდების ხარჯების, პლასტიკური ბარათების დამზადება-მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით.

● ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ფაქტიურად საწვავის ჩატვირთვაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

● საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ამასთან თითოეულ ეტაპზე მოთხოვნილი იქნება საერთო მოცულობის (სახელშეკრულებო რაოდენობის) არაუმეტეს 25%-ისა.

● პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: არანაკლებ 10 ავტოგასამართი სადგური ქ. თბილისში, ავტოგასამართი სადგურები შემდეგ რეგიონებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე: ქვემო ქართლში (რუსთავი, მარნეული); სამეგრელო - (ზუგდიდი, სენაკი); იმერეთი - (ქუთაისი, ზესტაფონი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური); სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე, ახალქალაქი).

● სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირ ვაჭრობისას („შემდგომში– ბიჯი“) – 0.02 ლარი ერთ ლიტრ საწვავზე.

● საწვავის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს (ISO) ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) ან აშშ სტანდარტს (API) და პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

● საწვავის მთლიანი რაოდენობის არ შესყიდვისათვის „შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 2% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა № E37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის № T-01 G-01/2018.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2018 წლის 12 იანვრის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2018 წლის 15 იანვრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2018 წლის 15 იანვრის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-01 G-01/2018.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში _ ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: დირექტორის მოადგილე ლოჯისტიკის საკითხებში **ზაზა ცოცია შვილი** მობ: 577991999, ელ. ფოსტა: zaza.tsotsiashvili@energotrans.com.ge და შესყიდვების მენეჯერი **თეა ტორიაშვილი** ტელ: 577625485 ელ. ფოსტა: t.toriashvili@energotrans.com.ge.

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

განცხადება

2018 წლის 21 თებერვალს, 15:00 საათზე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა № 41), გაიმართება „შპს „RMG Gold”-ის სალიცენზიო ფართობში გამავალი მაგისტრალური გაზსადენის წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის 73-75 კმ. მონაკვეთის გადატანის პროცესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს შპს „RMG Gold”-ის სალიცენზიო ფართობზე არსებული მაგისტრალური გაზსადენის (წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის 73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანა და გადასატანი მილსადენის გასწვრივ საავტომობილო გზის მოწყობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „RMG Gold”-ის ოფისში (მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა № 1, III შესახვევი; ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი; ტელ: 599 58 44 22).
- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მის: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა № 41 ტელ: (0360) 22 24 64).
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N106 (ტელ: 0358222555).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: მიხეილ კვარაცხელია (ტელ: 599 58 44 22)

ადმინისტრაციის ტელ: +995 32 247 45 45

ინფორმაცია

2018 წლის 21 თებერვალს 15:00 საათზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: რუსთაველის ქ. N27, გაიმართება ახმეტის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნო -ჯუთა - როშკა - შატილი - ომალო - ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტას მიმართულებით ს/გზების მშენებლობა -რეკონსტრუქციის სამუშაოების როშკა - ღელისვაკის მონაკვეთის მშენებლობა/რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა მის: რუსთაველის ქ. N27,

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

განცხადება

2018 წლის 26 იანვარს 13 საათზე ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება დღის წესრიგით:

1. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ;
2. თბილისის სამოხმარებლო კოოპერატივის სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ;
3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის ქონების გასხვისებისა და განიავების შესახებ (სამომხმარებლო კოოპერატივის შესახებ კანონის მიღებიდან დღემდე);
4. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ მიღებული დადგენილებების დამტკიცების შესახებ.
5. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის, სარევიზიო კომისიის და გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები.

მისამართი: მეტრო დელისი, პროფკავშირების შენობა, I სართული.

კოოპერატივის გამგეობა

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲯᲔ - „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ

ᲝᲠᲘ **დღე ხალხმრავლობა იყო ძიუდოს კლუბ „განთიადის“ (დამფუძნებელი პაატა ანდრიაძე, დირექტორი ოთარ ჯანელიძე) დარბაზში. თბილისის 9 კლუბის, ასევე, საგარეჯოს, ახმეტის, პანკისის, კასპის, ბოლნისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, დმანისის, მცხეთის, ჟინვალისა და ქსნის წარმომადგენლები მის ტატამზე ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.**

— შესანიშნავად ორგანიზებული შეჯიბრებაა, — გვითხრა დავით მარგოშვილის სახელობის ძიუდოს კლუბ „პანკისის“ მწვრთნელმა დავით ჭიკაიძემ. — ორ წელიწადზე მეტია, ხეობის მოზარდებს ვავარჯიშებ. დიდ დახმარებას გვიწევენ კლუბის ხელმძღვანელობა და თავად დავით მარგოშვილი, რომელიც ამჟამად ეგვიპტის ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია. „განთიადის“ ტურნირზე პირველად ჩამოვედით — 18 მოზარდი ჩამოვიყვანეთ. მათგან ოქროს მედლები ბექა მაჩალიკაშვილმა და აბუბაქარ ტოხოსაშვილმა მოიპოვეს, დავით ქავთარაშვილმა, ხოზირ მარგოშვილმა და იბრაგიმ მარგოშვილმა მეორე ადგილები დაიკავეს, ხოლო მუსლიმ ტოხოსაშვილი მესამე ადგილზე გავიდა. დიდი მადლობა მასპინძლებს. რომლებსაც სხვა დროსაც სიამოვნებით ვეწვევით.

ტურნირზე ოთხი ასაკის მოზარდები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. დაძაბული პაექრობების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: მათე ბერუაშვილი, ალექსანდრე ბარბაქაძე, ნიკა სვანიძე (სამივე-კლუბი „განთიადი“), ვაჟა საბაშვილი („ლაზარე“), ლუკა ბენდელიანი („შევარდენი“), გიორგი მარგიანი, გიორგი გეგია (ორივე-„ჯორჯია“), სანდრო ახლოური (კასპი), ლევან კევლიშვილი (საგარეჯო), გაბრიელ სამსიანი (თეთრი წყარო), მათე ჩაფურიშვილი (ახმეტა), ლუკა წიკლაური (მცხეთა). გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

— დღეს საქართველოში ბევრი რამ კეთდება ძიუდოს განვითარება-პოპულარიზაციისთვის, ასეთ მაღალ დონეზე ორგანიზებული შეჯიბრებები კი მის პრესტიჟს კიდევ უფრო მაღლა წევს,— გვითხრა ტურნირის დამთავრების შემდეგ ლამისყანელმა (კასპი) მწვრთნელმა, ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სამბოში, საკავშირო ჩემპიონატების ოთხგზის პრიზიორმა ძიუდოში, იტალიის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა გიორგი ბეინაშვილმა. — დიდ საქმეს აკეთებს „განთიადი“, რომლის ორგანიზებულ ტურნირზე კასპელებმა მესამედ მოვსინჯეთ ძალები. მსგავსი შეჯიბრებები ახალგაზრდა ძიუდოისტებისთვის ზეიმია. იმედია, ტრადიცია გაისადაც გაგრძელდება.

კლუბის მესვეურებმა გვითხრეს, რომ „განთიადის“ ტურნირები 2018 წელს საერთაშორისო სტატუსს შეიძენს.

ᲚᲐᲨᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: **ჭიდაობის მომენტი; ტურნირის მედალოსანი პანკისელები.**
ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲡ ᲔᲠ-ᲠᲘᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲔᲜᲡ

ᲡᲐᲣᲓᲘᲡ **არაბეთში დაიწყო ამ ქვეყნის მეფის — სალმან იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდის სახელობის მსოფლიოს ჩემპიონატები რაპიდსა (სწრაფი ჭადრაკი) და ბლიცში (ელვისებური ჭადრაკი), რომელშიც 100 მანდილოსანი და 134 მამაკაცი მონაწილეობს. მათ შორის არიან სახელოვანი დიდოსტატები — მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), სერგეი კარიაკინი, ალექსანდრ გრიშჩუკი (ორივე-რუსეთი), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრაგეთი), მსოფლიოს**



ექს-ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), ბაადურ ჯობავა; ქალებში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი თან ჟონი (ჩინეთი), მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონები — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) და ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა), ფიდეს ქალთა ბოლო გრან პრის გამარჯვებული ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე, კონტინენტის ორ-ორგზის ჩემპიონები — კატერინა ლაგნო, ვალენტინა გუნინა (ორივე-რუსეთი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) და სხვები. ჯობავასა და ძაგნიძის გარდა, საქართველოს სპორტულ ღირსებას კიდევ 10 მოჭადრაკე იცავს: ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, ინგა ტყეშელაშვილი, ქეთი წაწალაშვილი, სოფიო გვეტაძე, სოფიკო ხუხაშვილი, ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი და გიგა ყუფარაძე.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 2 მილიონი დოლარი, ანუ 350 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. ვაჟებისთვის თითოეულ დისციპლინაში 750.000, ხოლო ქალებისთვის 250.000 დოლარია გამოყოფილი. მამაკაცებში გამარჯვებული 250.000, მანდილოსნებში პირველი კი 80.000-ით დაჯილდოვდება.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონატის ორგანიზატორებთან ისტორიულ შეთანხმებას მიაღწია - პარტიების მსვლელობისას მოთამაშეებისთვის აუცილებელი არ იქნება ჰიჯაბისა და აბაიას ტარება, ოღონდ მოჭადრაკეებმა მკაცრად უნდა დაიცვან დრესკოდი, რომელიც მამაკაცებისთვის ითვალისწინებს მუქ ლურჯ ან შავ კოსტუმს თეთრი პერანგით ყელთან შეხსნილი ღილით ან ჰალსტუხით, ხოლო ქალებისთვის — ლურჯ ან შავ კოსტუმს მაღალყელიანი თეთრი ზედათი.

ქალთა და ვაჟთა რაპიდში შვეიცარიული სისტემით 15 ტური გაიმართება, ბლიცში კი მედალოსნებს 11 შეწყვილებული ტური გამოავლენს. რაპიდში უკვე ხუთი ტური ჩატარდა. ვაჟებში შესანიშნავად ითამაშა ბაადურ ჯობავამ, რომელმაც 4.5 ქულა მოაგროვა და რუს ვლადიმირ ფედოსეევთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. 19-მა მოჭადრაკემ 3.5-3.5 ქულას მოუყარა თავი. მათ შორის არიან გიგა ყუფარაძე და მაგნუს კარლსენი. ლევან ფანცულაიას და მიხეილ მჭედლიშვილს 3-3 ქულა აქვთ.

ქალებში ბელა ხოტენაშვილმა ოთხი ქულა მოაგროვა — მეხუთე ტურში შავებით ცზიუ ვენძიუნთან (ჩინეთი) დამარცხდა. დანარჩენ ქართველთა მაჩვენებლები ასეთია: ნინო ბაციაშვილი, სოფიო გვეტაძე, ნანა ძაგნიძე — 3.5-3.5, ინგა ჭარხალაშვილი, სოფიკო ხუხაშვილი — 2.5-2.5, სალომე მელია, ლელა ჯავახიშვილი-1.5-1.5 ქულა.

ჩემპიონატები 30 დეკემბერს დასრულდება.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲐᲥᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲙᲝᲙᲐᲘᲐ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘᲕᲔ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ **სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოენოვანი სტუდენტური თვითმართველობის, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის — ზაურ ფხალაძისა და აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის — ვახტანგ ბაქანიძის ორგანიზებითა და თანადგომით არაერთი სპორტული ღონისძიება იმართება. საგულისხმოა, რომ ისინი სათანადო პატივს ცოცხალ, დამსახურებულ თანამემამულეებსაც მიაგებენ.**

სეზონის დასკვნითი ტურნირი საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიების არბიტრს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ბატონ ავთანდილ კოკაიას მიეძღვნა. მასში მონაწილეობა თსსუ-ს უცხოენოვანი სტუდენტებით დაკომპლექტებულმა 12-მა გუნდმა მიიღო.

გაუწყებთ გადამწყვეტი მატჩების შედეგებს.

ნახევარფინალები. ნიგერია (1) — ერაყი 2:3, ნიგერია (2) — თურქეთი 4:2.

ფინალი. ნიგერია (2) — ერაყი 2:2 (პენალტებით — 5:4).

მესამე პრიზიორი ნიგერიელთა პირველი გუნდი გახდა.

სტუდენტური სპორტული წელი სუპერფინალით დაგვირგვინდა, რომელშიც ერთმანეთს დასახელებული ასპარეზობისა და ამასწინანდელი იამანიძე-მესხი-მეტრეველის მემორიალის გამარჯვებული მასპინძელთა ნაკრები შეხვდნენ. ძირითადი დრო აქაც 2:2 დასრულდა, პენალტები კი უფრო ზუსტად ამჯერადაც აფრიკელებმა შეასრულეს 7:6. მეტოქეთაგან განსაკუთრებული მოწონება **კლეიფ-ნჯაჰ ვერეო-ვაჯისა** და **სოსო გიოშვილის** თამაშს ხვდა წილად.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ᲪᲣᲠᲕᲐ

„ᲢᲝᲜᲣᲡᲨᲘ“ - ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲝᲜᲣᲡᲘᲗ

საწყლოსნო **კომპლექს „ტონუსში“ დამთავრდა მოცურავეთა თბილისის მერიის თასის ღია გათამაშება, რომელშიც დედაქალაქის, ბათუმის, რუსთავის, მოსკოვის, საჩხერის, ჭიათურის, ლანჩხუთისა და გურჯაანის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. გამარჯვებულები და პრიზიორები ერთი სტილით სამ დისტანციაზე (50, 100 და 200 მ) ნაჩვენები შედეგების ქულათა ჯამით გამოვლინდა. ვაჟებში ყველაზე მეტი ქულა (1977) თავისუფალი ყაიდით მოასპარეზე გიორგი ბიგანიშვილმა (იგი ცნობილი აფროსნის — გურამ ბიგანიშვილის ვაჟია) მოაგროვა და მთავარი პრიზიც მოიპოვა. გოგონებში მსგავს წარმატებას, ასევე, თავისუფალი ყაიდით მოცურავე მარიამ იმნაძემ (1814 ქულა) მიაღწია.**



ორდღიანი პაექრობების შემდეგ დისციპლინების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: **გოგონები:** მარიამ იმნაძე („ტონუსი“, თავისუფალი ყაიდა, 1814 ქულა), მარი კალანდაძე („ტონუსი“, ბრასი, 1339), თამარ მჭედლიძე („ტონუსი“, ბატერფლაი, 1326), მარი ხუტუნიშვილი (გულაღმა ცურვა, ჭიათურა, 1208); **ვაჟები**. გიორგი ბიგანიშვილი (დიღომი, თავისუფალი ყაიდა, 1977), ლევან ბახტურიძე („ტონუსი“, ბრასი, 1828), საბა მამულაშვილი („ტონუსი“, ბატერფლაი, 1329), გიორგი თვაური (დიღომი, გულაღმა ცურვა, 920), აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, კომპლექსური ცურვა, 1899).

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲒᲣᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მარცხნიდან — **თინათინ კევლიშვილი, მარიამ იმნაძე და თამარ მეგრელიძე კვარცხლბეკზე.**

კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
2018 წლის 30 იანვრიდან აცხადებს
კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

- შინაგანი დაავადებები: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი; 1 ასისტენტი;
- ქირურგია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- ინფექციური დაავადებები: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ- პროფესორი;
- ალერგოლოგია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- რადიოლოგია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი;
- პედიატრია: 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- კერძო სამართალი: 1 პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- სისხლის სამართალი: 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- ჟურნალისტიკა: მედიასამართალი და თვითრეგულირება: 1 ასოცირებული პროფესორი;
- ჟურნალისტიკა: კულტურულ საგანმანთლებლო მაუწყებლობა: 1 ასოცირებული პროფესორი;
- ჟურნალისტიკა: სამაუწყებლო მედია (რადიო), სამაუწყებლობლო მედია (ტელევიზია): 1 ასოცირებული პროფესორი;
- მენეჯმენტი: 1 ასისტენტ-პროფესორი;
- ეკონომიკა: 1 პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი;
- ინფორმატიკა: 2 ასოცირებული პროფესორი; მათემატიკა: 1 ასოცირებული პროფესორი.

ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატთათვის:

- პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
- ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
- ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) ანკეტა;
- გ) პირადობის მოწმობის ასლი;
- დ) დიპლომის ასლი უმაღლესი განათლების შესახებ;
- ე) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- ვ) უმაღლესი განათლების და დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტები. უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ზ) 2 ფოტოსურათი 3x4-ზე.

კონკურსში მონაწილეთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა და მათი რეგისტრაცია იწარმოებს 2018 წლის **30 იანვრიდან - 2018** წლის **10 თებერვლამდე**

უნივერსიტეტის კანცელარიაში

(10.00 სთ-დან 17 სთ-მდე, ვაკე, ი.ჭავჭავაძის გამზირი N 25)

კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2018 წლის 17 თებერვლისა.

კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე **www.sdasu.edu.ge**.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით - ტელ.: (995 32) 2 253 677.

სანთელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტი უდიდესი მწუხარებით იუწყება შესანიშნავი ქალბატონის, პროფესორის

ლია ადეიშვილ-ანდღულაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ტრაგედია ქუთაისში

ქუთაისში, აღმაშენებლის გამზირზე, მრავალსართულიანი მშენებარე კორპუსიდან ორი მუშა გადმოვარდა, ორივე ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ნაქერალას უღელტეხილზე მოძრაობა თავისუფალია

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგად შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(მოწამეთა)-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ38-კმ62 (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

აღნიშნული გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

თურქეთში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე ცოლ-ქმარი დააკავეს!

თურქული მედიის ცნობით, ტრაბზონის პროვინციაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში საქართველოს მოქალაქე ცოლ-ქმარი დააკავეს. გამოცემა „მილიეტის“ ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე ცოლ-ქმარი თურქეთის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდნენ და ისინი კონტრტერორისტული სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ქალაქ ოფის მახლობლად დააკავეს. მათი საცხოვრებლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა „ისლამური სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტაცია ამოიღეს.

დიდი ოდენობით იარაღის უკანონოდ გადმოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით პნევმატური, სასიგნალო და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გადმოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საბაჟო-გამშვები პუნქტი ,,სარფის“ გავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა. წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, ბრალდებული, მისი მართვის ქვეშ მყოფი ,,DAF“-ის მარკის სატვირთო ავტომანქანით სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებას ახდენდა. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ავტომობილში სპეციალურად მოწყობილი სამალავით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, ბრალდებული ცდილობდა საქართველოში შემოეტანა დეკლარირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით საქონელი. კერძოდ: პნევმატური და სასიგნალო იარაღი, ცეცხლსასროლი სანადირო თოფები, ვაზნები და იარაღის სათადარიგო ნაწილები.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია კონტრაბანდულად შემოტანილი საქონელი.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

განცხადება

2018 წლის 13 თებერვალს, 14 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა №1) გაიმართება „ბჟუჟა 2“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ბჟუჟას ხეობაში 5.0 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა №1;**
- **შპს „GIEC“-ის ოფისში -ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №18; საკონტაქტო პირი: დავით ჩაჩხიანი; ტელ: 555222244**
- **შპს „აი-ეს-ჯი კომპანი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, ლებანიძის ქ. №12. საკონტაქტო პირი: სერგო კაკუშაძე; ტელ: 599121032**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების ვადაა - განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „GIEC“-ის ადმინისტრაცია

განცხადება

2018 წლის 21 თებერვალს, 12 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1), გაიმართება ბჟუჟა ჰესის დამატებითი ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1.**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- **ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;**

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ადმინისტრაცია“

ახლო და შორი პარალელები

დამუნათება

უნამუსოდ გესლიან
სიტყვებს რაკი გესვრიან,
ნიკანდრო რომ იკადრებს,
არ უცქირო იმ კადრებს,
თორემ ძალზე ძნელია,
არ აგინო მელია,
მისი „ნაცი“ მურთხების
დედის სულის კურთხევით!

ჟამი დაფიქრებისა

კაცი „ნიუსით“ როცა მიდის შინ,
სჯობს, თუ უცხოელს გაემიჯნება,
რადგან ისრაელს შერჩა „იდიში“,
წმინდა „ივრითის“ დამახინჯებად
და ჩამუქდება იერი სალმის,
თუ ვინმე გაყოფს იერუსალიმს!

ქვები

ნაოპარაციევ მეგობარს

დგახარ ჩრდილში და ხალხს შენივე მეგობრებიდან
ვერ აუხსნია, ჩქეფს სიკეთის მილი რამდენი?!
ქვების წილ მათგან დოლარების შეგროვებითა,
აივსებოდა საწყაული მილიარდერის!

რომაული ბატები?

ბრიყვები აღარ ემატებიან
და რაკი მაინც დებატებია
მიხოს ხსენებით, კერპის თაყვანით,
ცოტა საქმით და ბევრი ყაყანით...
– რომი რომ იხსნეს, ე ბატებია?

ალექსანდრე შენგელია

რა ღირს ახალი წელი?!

ახალ წლამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი. დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად საჭირო პროდუქციის შესაძენად აგრარულ ბაზრებსა თუ მარკეტებში ხალხის რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს. ლარის დევალვაციისა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ფონის მიუხედავად, ყველას სურს, ახალ წელს შეძლებისდაგვარად მომზადებული შეხვდეს.

რამდენი ლარი დაჯდება საახალწლო სუფრა? — ამის გარკვევას „კომერსანტი“ თბილისში მდებარე აგრარულ ბაზრებში შეეცადა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ პროდუქციაზე საფასო პოლიტიკა უცვლელია და წლევანდელი ფასები შარშანდელს ემთხვევა. საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ წელს ოჯახს ტრადიციული ქართული საახალწლო სუფრა საშუალოდ 355 ლარი დაუჯდება /წინა წელს ეს თანხა დაახლოებით 300 ლარი იყო/.

ჩვენ ყველა იმ ძირითადი პროდუქტის ღირებულება გავიგეთ, რაც ახალი წლის სუფრის უცვლელი შემადგენელი ნაწილია. თუმცა, „დეზერტირების ბაზრის“ მოვაჭრეები აცხადებენ, შესაძლოა, საახალწლოდ ფასები კიდევ გაიზარდოს, თუმცა მცირედით.

როგორც ყოველთვის წელსაც ყველაზე ძვირი გოჭია, რომლის ფასი 100-დან 150 ლარამდე მერყეობს და შარშანდელთან შედარებით 20 ლარით გაძვირებულია. რაც შეეხება ღორის და საქონლის ხორცს, ის წელს შარშანდელივით 1 კგ 12-13 ლარი დაგიჯდებათ. ერთი ქათამი 10-12 ლარის ფარგლებშია.

საახალწლო სუფრის მთავარი კერძი საცივია, მისი უმნიშვნელოვანესი ინგრედიენტი კი ინდაურის ხორცი. ინდაურის ფასი წელს 70-დან 120 ლარამდე მერყეობს. ერთი კილოგრამი იმერული ყველი 10 ლარი ღირს, სულგუნი კი 15 ლარი.

ყველას ოჯახში ახალი წლის სუფრაზე გოზინაყი აუცილებლად დევს, მის მოსამზადებლად კი ნიგოზი და თაფლი აუცილებელია. 1კგ ქართული ნიგვზის ფასი 35-დან 40 ლარამდეა, ხოლო იმპორტირებულის ღირებულება 25-30 ლარია. რაც შეეხება თაფლს, 1 კგ 15 ლარი ღირს. ჩურჩხელის შეძენას, შეძლებთ როგორც 3 ლარად, ასევე 1.50 თეთრად.

ახალი წელი ციტრუსოვანი ხილის გარეშე წარმოუდგენელია. კილოგრამი მანდარინის, კივის და ფორთოხლის ფასი 2.50 ლარიდან 3 ლარამდე მერყეობს.

როგორც ბაზარში გამყიდველებმა გვითხრეს, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა ფასების მომატების საშუალებას არ იძლევა და ამიტომაც, წელს ფასები მხოლოდ მცირედით არის გაზრდილი.

ლიკა გურაბანიძე

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოცი ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ალბომი

პატარა ვასიკო, ოჯახში ყველაზე უმცროსი, დედასთან ერთად ათვალიერებს საოჯახო ალბომს.

– დედა, ეს გამხდარი კაცი ვინ არის, თმადახუჭუჭებული და ულვაშიანი?

– ვერ იცანი? შენი მამიკოა.

– რას ამბობ? აბა ეს სქელი და მელოტი ბიძია ვინ არის, ჩვენთან ერთად რომ ცხოვრობს.

გულშემატკივარი

ფეხბურთელი მეკარის დედა აღელვებული აცნობებს სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს:

– ეს-ეს არის დეპეშა მოვიდა ჩვენი ადამისგან: თამაშის დროს ორი კბილი ამოუგლეჯიათ და ნეკნი ჩაუმტვრევიათ.

– მოგებით ვინ მოიგო?

– მაგას აღარ გვწერს.

– ეგეც ვიცოდი! ეგ ჩიტირეკია მარტო თავის თავზე ფიქრობს, მე კი ხვალამდე უნდა ვიცადო, რომ თამაშის შედეგი გავიგო.

კარგი აზრი

კოვალსკიზე ნაცნობები კარგი აზრისანი არიან.

– ეგ დალოცვილი ცხენივით მუშაობს, – თქვა ერთმა.

–... რათა ფული იშოვოს და მერე ვირივით დახარჯოს, – დაეთანხმნენ დანარჩენები.

დაშვება

თვითმფრინავი დასაჯდომად ეშვება. ერთ-ერთი მგზავრი, ახალგაზრდა კაცი, ისეთი შეშინებული იკრავს ქამარს, რომ სტიუარდესამ საჭიროდ ჩათვალა მისი დამშვიდება.

– ნუ ღელავთ, მშვიდობიანად ვეშვებით, ალბათ პირველად მგზავრობთ თვითმფრინავით, არა?

– არა, რას ამბობთ! – მიუგებს დამფრთხალი მგზავრი. – პირველად არ ვმგზავრობ თვითმფრინავით, ოღონდ პირველად ვეშვები ასეთნაირად. მე პარაშუტისტი ვარ.

საუკეთესო თვე

ახალგაზრდა ხნიერს ეკითხება:

– რომელი თვეა ყველაზე საუკეთესო ცოლის მოსაყვანად?

– რომელი და, როდინობის თვე.

– ეგ თვე კალენდარში რომ არა რის?

– საქმეც ეგ არის.

კარგი საქცელი

სკოლაში მასწავლებელმა მოწაფეებს ასეთი რამ ჰკითხა:

– აბა, ბავშვებო, მიამბეთ გასულ კვირას რაიმე კარგი თუ ჩაიდინეთ?

– მე ერთი კი არა, ორი ჩავიდინე.

– გვითხარი, რა ჩაიდინე.

– შაბათს დეიდაჩემთან ვიყავი სტუმრად და ძალიან გავახარე.

– ყოჩაღ. მეორე რა ჩაიდინე?

– კვირას დეიდაჩემისგან წამოვედი და კიდევ უფრო გავახარე.

მოკლე მეხსიერება

ელეგანტური მამაკაცი ჰოლივუდის ვარსკვლავს მიმართავს:

– მგონი, აღარ გახსოვთ, არადა სულ სამი წელიწადი გავიდა, რაც მე ხელი გთხოვეთ.

– ეგ რა კარგი რამე მითხარით! – შესძახა კინოვარსკვლავმა. – შემახსენეთ ერთი, თუ კაცი ხარ, ცოლად გამოგყევით მაშინ?

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5751; ევრო - 3.0536;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4411;
100 რუბლი - 4.4602; თურქული ლირა - 0.6764;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5152;
1000 სომხური დრამი - 5.3481.

ამინდი 28 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge